ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

სამშაბათი, 25 აგვისტო, 2020 №179 (8443) ფასი: 60 თეთრი

„შაქარაშვილი მოკლა იმან, ვინც მკვლელებს ხელს აფარებს, ესაა მირიან ნიკოლაძე“

რას აცხადებს ეკა წულუკიძე

გვ.5

„6 საათზე ჩემგან თაფლი იყიდეს და ცოტა ხანში რაღაც ხმა გავიგონეთ“

რა ხდებოდა ხევსურეთის ავარიამდე რამდენიმე წუთით ადრე

გვ.5

ნუცა ყანადაშვილი და დედამისი, დები ხათუნა და ირმა მარუაშვილები, ხატია ზაალიშვილი ვინ დაიღუპა შატილის გზაზე

თამარ ბაჩალიაშვილის მანქანას მისი სიკვდილის დღეს 3 სხვა მანქანა მიჰყვებოდა

გვ.3



საქმის ახალი დეტალები

„ქართული ოცნებისათვის“ ნაციონალური მოძრაობა მორგებული ოპოზიციაა

გვ.4



მამუკა გიორგაძე: „საქართველოში ხდება პოლიტიკის დეგენერატიზაცია“

გვ.2

„ქვეყანაში დიდი საფრთხეა ივანიშვილის სახით, ამიტომ დავიცავთ ერთმანეთის ხმებს“

ხატია დეკანოიძე: „ისანში ჩემ გარდა განიხილება კიდევ რამდენიმე კანდიდატურა“

გვ.3

„ესენი პოლიტიკური ინდმეწარმეები არიან“

გია ვოლსკიმ ოპოზიციას დასცინა

„ივანიშვილი ვისთანაც კოალიციას შეიძლება დათანხმდეს, დღეს ისინი ჩუმად არიან“

სოსო ცინცაძე: „თუ ოპოზიციამ თქვა – არჩევნები გაყალბდა! ამ დროს გადამწყვეტი სიტყვა საერთაშორისო დამკვირვებლებს ეკუთვნით“

გვ.3

ირმა ინაშვილი: „პატრიოტთა ალიანსი“ 4 ამერიკულ, 2 ებრაულ და მხოლოდ ერთ რუსულ საკონსულტაციო კომპანიასთან თანამშრომლობს“

გვ.4

ISSN 1987-9385

2 30-მდე ოპოზიციურმა პარტიამ ხმების დაცვის მემორანდუმი გააფორმა

5 დუშეთში, სამაშველო სამუშაოები შს მინისტრის მოადგილისა და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსის უშუალო ხელმძღვანელობით განხორციელდა

4 „დრო, პრემიერი დაინტერესდეს და პრიორიტეტულ საკითხად გამოაცხადოს გზებზე მსხვერპლის შემცირება“

6 ბელარუსი ლიეტუვას საპაერო სივრცის დარღვევის მცდელობაში ადანაშაულებს

„ქვეყანაში დიდი საფრთხეა ივანიშვილის სახით, ამიტომ დავიცავთ ერთმანეთის ხმებს“

ხატია დეკანოიძე: „ისანში ჩემ გარდა განიხილება კიდევ რამდენიმე კანდიდატურა“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი ხატია დეკანოიძე პასუხობს.

– ხატია, დაახლოებით 30-მა ოპოზიციურმა პარტიამ ხელი მოაწერა ხმების დაცვის მემორანდუმს. ხელისუფლების მხრიდან საქილიკო გახდა ეს თემა, ერთმანეთს არ ენდობიან და ხელს აწერინებენ მემორანდუმებზეო. როგორია თქვენი შეფასებები, როგორ უნდა შეძლოს ოპოზიციამ ერთმანეთის ხმების დაცვა?

– მე ვფიქრობ, რომ პირიქით, ეს არის ერთ-ერთი უნიკალური მოვლენა საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში, განსაკუთრებით კი ბოლო პერიოდში. როდესაც 30-მდე პოლიტიკური პარტია თანხმდება იმაზე, რომ ჩვენ უნდა დავიცვათ ოპოზიციის, ანუ ერთმანეთის ხმები. მათ შორის ჩვენი წარმომადგენლები, კომისიის წევრები, ჩვენ დიდი პარტია ვართ და გვყავს ჩვენი წევრები, ბევრ პარტიას ეყოლება თავის დამკვირვებლები, წინასაარჩევნო მდგომარეობები, მუდმივად უნდა გვქონდეს აქცენტი ადამიანების მოსყიდვაზე, მუქარაზე და ასე შემდეგ. სიმართლე გითხრათ, მე ეს მემორანდუმი მიმაჩნია ძალიან მნიშვნელოვნად, თუმცა ასევე ძალიან მნიშვნელოვნად მიმაჩნია ის შეთანხმება, რომელსაც სექტემბერში უნდა მოვაწეროთ ხელი, რომ არც ერთი ოპოზიციური ძალა არ შეუქმნის კოალიციას ბიძინა ივანიშვილს.

– ექსპერტთა ნაწილი თვლის, რომ ეს ვალდებულება, რომელსაც ოპოზიციურ პარტიებს უწესებთ, პირდაპირ კონფრონტაციის და სახელისუფლო კრიზისის მიზეზი შეიძლება გახდესო. ამ რისკებს რამდენად გამორიცხავთ?

– არა, მე ასე არ ვიტყოდი, რადგან ყველას, ვისაც გათვითცნობიერებული აქვს, რამხელა საფრთხის ქვეშ არის ქვეყანა, ვისაც ბიძინა ივანიშვილის ჩრდილოვანი და ოლიგარქიული მმართველობის დასრულება სურს ამ ქვეყანაში, ვისაც თვისობრივად ახალ ხარისხზე გადასვლა სურს, რის საშუალებასაც იძლევა ახალი პარლამენტი და კონსტიტუცია, ამიტომ ეს იქნება ძალიან კარგი ლუსტრაცია იმისთვის, რომ ადამიანებმა დაინახონ, რომელი პოლიტიკური ძალები ეწინააღმდეგებიან ბიძინა ივანიშვილის ხელისუფლებაში ძალით დარჩენას. შესაბამისად, პირიქით, ეს არის ძალიან კარგი შეთანხმება.

– ანუ ეს ერთგვარი ლუსტრაციაც იქნება პარტიების, ვინც ხელს არ მოაწერს?

– მათ შორის ესეც. ასევე მათ წინასწარ განწყობებსაც ასახავს. ამომრჩეველმა უნდა იცოდეს ყველა პარტია, სამომავლოდ როგორ იცავს იმ აქტს, რომელიც დადებული აქვს ამომრჩეველთან. მე ვფიქრობ, რომ ეს ორი მემორანდუმი, ძალიან კარგად და მნიშვნელოვნად ასახავს ჩვენი სულისკვეთების და განწყობის შინაარსს.

– არიან ოპოზიციური ლიდერები, რომლებიც უარს აცხადებენ, ან განაცხადებენ დეკლარაციებზე ხელის მოწერისგან. ერთ-ერთია ალეკო ელისაშვილი. კიდევ ვინ ამბობს უარს?

– ამ ეტაპზე ზუსტი ინფორმაცია ამასთან დაკავშირებით არ მაქვს, ყველა ძირითადი პარტია, ვინც იყო კოორდინირების შეხვედრებზე, ხელს ყველა აწერს. ალეკოს თავისი პოზიცია აქვს, ჩვენ ყველა პოზიციას უნდა ვცეთ პატივი. მე ვფიქრობ, ყველას, ვისაც გაცნობიერებული აქვს, თუ რამხელა საფრთხეა ივანიშვილი, ყველა მზად არის, რომ არავითარ შემთხვევაში არ დაარღვიოს სიტყვა, აქტი თუ „ხელშეკრულება“ დადებული ამომრჩეველთან. იმიტომ, რომ აქ მხოლოდ პოლიტიკურ პარტიებზე არ არის საუბარი, ეს ყველაფერი ამომრჩევლის მიერ შეფასდება. ამიტომ მე ვფიქრობ, რომ ყველა მობილიზებულია იმისთვის, რომ ეს შეთანხმება დაიცვან. ამ შემთხვევაში არ აქვს მნიშვნელობა, ხელს მოაწერენ თუ არ მოაწერენ. თუკი არ დაიცავენ, თავისთავად, ესეც ამომრჩევლის გაწბილება იქნება.

– საუბრობთ ხელმოწერაზე, ერთმანეთის ხმების დაცვაზე. ტექნიკურად ეს ყველაფერი როგორ განხორციელდება? კითხვა დაისვა, ერთმანეთის კონკურენტი პარტიები ხართ და რატომ უნდა დაიცვათ ერთმანეთის ხმები?

– ჩვენ უფრო დიდი საფრთხე გვაქვს ამ ხელისუფლების და ბიძინა ივანიშვილის სახით. მათ შორის ადმინისტრაციული რესურსი, რომელიც გვიპირისპირდება, სუსი, პოლიცია, რომელიც ჩართულია, სამწუხაროდ, ჩართულია ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკურ განწყობებში, ამიტომ დიახ, მათ შორის ერთმანეთის ხმების დაცვა არის ძალიან მნიშვნელოვანი, რომ გვესმოდეს, ოპოზიცია იცავს ერთმანეთის ხმებს. ეს ხომ ერთმანეთის ხმები არ არის, ამომრჩევლის ხმებია, ამომრჩევლის ნებას ვიცავთ ჩვენ. შესაბამისად ამ კონტექსტში ვიცავთ ზუსტად თავისუფალ არჩევნებს.

– ხატია, გასული კვირის ბოლოს, საკმაოდ აქტუალური გახდა ისნის მაჟორიტარული ოლქი. საუბარია, რომ აქტიურად განიხილება თქვენი კანდიდატურა. თუმცა ნაციონალური მოძრაობა აცხადებდა, რომ თბილისში მხოლოდ ორ ოლქში აყენებს კანდიდატურას. თქვენ ვაშაძეს აბრალებთ, ის კი აცხადებს, რომ სწორედ ნაციონალური მოძრაობაა, ვინც არ იცავს ამ შეთანხმებას. სიტყვის კაცობა პოლიტიკაში არის ყველზე მნიშვნელოვანიო, აცხადებს ის. რა ხდება ამ კუთხით?

– პირველი შეთანხმება დაირღვა, სწორედ ჩვენი პარტნიორის მხრიდან, როდესაც გაერთიანებული ოპოზიცია დატოვა და ასე შემდეგ. ჩვენ არგუმენტები მრავლად გვაქვს. გულწრფელად რომ გითხრათ, საბოლოო გადაწყვეტილება ამ ეტაპზე, ჯერჯერობით არ არსებობს. რომ იტყვიან, ბოლომდე გენერალური გადაწყვეტილება არ მიგვიღია. ჩვენ კონსულტაციებს ვაგრძელებთ, მათ შორის ჩვენს პარტნიორებთან და ასევე ჩვენს შტაბებთან და ჩვენს ამომრჩეველთან. ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მათი ხმა არ დაიკარგოს. რაც შეეხება კანდიდატურას, მხოლოდ ჩემი კანდიდატურა არ განიხილება.

– კიდევ ვისი?

– განიხილება კიდევ რამდენიმე კანდიდატურა. ჩემი კანდიდატურა მოიაზრებოდა ასევე სხვა ოლქებშიც, ასე რომ, მე იმედი მაქვს, რომ დღეს საღამოს საბოლოოდ ჩამოვყალიბდებით პოლიტიკურ გუნდთან ერთად, თუ როგორი იქნება საბოლოო კონფიგურაცია.

– ხატია, რომ დავაზუსტოთ, სხვა ოლქში სად განიხილება კონკრეტულად, თბილისში თუ რეგიონში? ითქვა, რომ თბილისში შესაძლოა სხვა ოლქშიც გაუჩნდეთ პრეტენზია ნაციონალებსო.

– არა, ასე არ არის. ჩემი კანდიდატურა პარალელურად დასავლეთ საქართველოში განიხილება, თერჯოლა-ბაღდათი-ტყიბული. ძალიან დიდი ოლქია. თბილისს რაც შეეხება, აქ ჩვენ შეთანხმების ერთგულები ვრჩებით ბოლომდე.

– ისანი გამონაკლისია?

– რაც შეეხება ისანს, იმ მოსაზრებების გამო, რომელზეც მე არაერთხელ ვისაუბრე, მათ შორის შეთანხმების პირველი პუნქტის დარღვევა გაერთიანებულ ოპოზიციაში, აი ამის გამო დადგა დღის წესრიგში ეგ საკითხი.

– მსგავსი ქმედებებით ოპოზიცია ერთმანეთს ხმებს დააკარგვინებსო.

– მე, ნაკლებად მაინტერესებს ხმამაღალი განცხადებები, ჩვენ კონცენტრირებული ვართ, რომ რაც შეიძლება მეტი ადამიანის მობილიზება მოვახერხოთ, მათ შორის პროპორციული სიის ნაწილში. ამიტომ, როდესაც გიორგი ვაშაძემ დატოვა გაერთიანებული ოპოზიცია, თავისთავად შეიქმნა გარკვეული ვაკუუმი. ამიტომ შესაბამისად ვმუშაობთ ამომრჩეველთან და გენერალური გადაწყვეტილებაც სწორედ აქედან გამომდინარე გვაქვს მიღებული.

– თაკო ჩარკვიანი გახდა ოპოზიციის შიგნით დაპირისპირების და განხეთქილების მიზეზიო. ასეა?

– როდესაც ჩვენთან შეთანხმების გარეშე გიორგის კანდიდატურა დაასახელა, ამანაც გარკვეული გაუგებრობები გამოიწვია, შეთანხმებას თუ ვდებთ, შემდეგ ყველამ უნდა დავიცვათ ეს შეთანხმება. ამიტომ ჩვენ მაქსიმალურად, ყველა პოზიციების შეჯერებით, ასევე პროპორციული სიის ნაწილში მომგებიანი კონფიგურაციით მივიღებთ ამ გადაწყვეტილებას.

– ხატია, არის ოლქები, სადაც ნაციონალური მოძრაობა არ აყენებს კანდიდატურებს. თუნდაც იგივე საბურთალოზე, განაცხადეთ, რომ არც დააყენებთ, მაგრამ არც ოპოზიციურ კანდიდატს, ირაკლი ოქრუაშვილს დაუჭერთ მხარს. ასეთ სიტუაციაში თქვენი ამომრჩეველი ხომ არ იბნევა, ვის უნდა დაუჭიროს მხარი?

– იცით ალბათ, ჩვენ მხარს ვუჭერთ ვაკეში ოპოზიციურ კანდიდატს, ასევე მთაწმინდაზე, დიდუბე-ჩუღურეთში, საბურთალოზე ვთქვით, რომ არ ვაყენებთ ჩვენს კანდიდატს, შესაბამისად ამომრჩეველმა თვითონ უნდა გადაწყვიტოს, ვის მისცემს ხმას. ჩვენ ვიმუშავებთ ჩვენი სიის, პროპორციული ნაწილის მიხედვით, იმიტომ, რომ პროპორციული სია არის ყველაზე მნიშვნელოვანი, იმიტომ, რომ თუ პირველ ტურში უმრავლესობით მოვუგებთ ბიძინა ივანიშვილს, შესაძლებელია, რომ მეორე ტურებში „ქართული ოცნების“ კანდიდატები აღარც გავიდნენ. ამიტომ ყველამ ვიმუშაოთ პროპორციული სიისთვის.

– როდესაც არ დასრულდა ეს დაპირისპირება და კინკლაობა ოპოზიციაში, ამომრჩეველი მაინც შიშობს, რას იზამს პარლამენტში შესული ოპოზიცია? რამდენად შეძლებს შეთანხმებას და ხომ არ მოხდება ნაწილი პარტიების ივანიშვილის ქოლგის ქვეშ გადაბარგება?

– მე ასე ვფიქრობ, რომ თუ იქნება მაღალი პასუხისმგებლობა ოპოზიციური პარტიების მხრიდან, რადგან არ მგონია, ვინმე ამ საფრთხეს ვერ აცნობიერებდეს, რასაც ივანიშვილის მმართველობა ჰქვია. ამიტომ, მთავარი ამოსავალი წერტილი აქ იქნება მისი ჩამოცილება ხელისუფლებიდან. მე ძალიან პოზიტიურად ვარ განწყობილი, ვფიქრობ, რომ ყველაფერი კარგად იქნება, მოვიგებთ არჩევნებს და დამთავრდება ოლიგარქიული რეჟიმი საქართველოში.

30-მდე ოპოზიციურმა პარტიამ ხმების დაცვის მემორანდუმი გააფორმა

გუშინ, 24 აგვისტოს, 30-მდე ოპოზიციურმა პარტიამ მემორანდუმი გააფორმა, რომლის მიხედვით ოპოზიციის წარმომადგენლები თანხმდებიან, რომ როგორც საკუთარ, ისე ერთმანეთის ხმებს დაიცავენ.

დეკლარაციის მიხედვით, შეიქმნება ამომრჩევლების ხმების დაცვის შტაბი, რომელსაც პაატა დავითაია უხელმძღვანელებს.

რაც შეეხება კონკრეტულ მექანიზმებს, რომელიც დეკლარაციითაა გათვალისწინებული, როგორც ოპოზიციური პარტიების შეხვედრის შემდეგ გახდა ცნობილი, შეიქმნება პარტიებს შორის საერთო მონაცემთა ბაზა, სადაც აისახება არჩევნებზე დაფიქსირებული დარღვევები, ამასთან, ძალაში შევა საერთო საკოორდინაციო მექანიზმი, თუ როგორ რეაგირებას მოახდენენ პარტიები დარღვევებზე.

ამასთან, გაიწერა არასამთავრობოებთან და საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობის საკითხები.

გერმანელმა ექიმებმა ალექსეი ნავალნის მოწამვლა დაადასტურეს

გერმანული კლინიკა „შარიტეს“ ექიმების მიერ ჩატარებული დიაგნოსტიკის შედეგების თანახმად, რუსი ოპოზიციონერი, ალექსეი ნავალნი მოწამლეს.

როგორც გერმანელმა ექიმებმა განაცხადეს, რუსი ოპოზიციონერი ქოლინესტერაზას ჯგუფის ნივთიერებით მოწამლეს.

კლინიკაში ასევე აღნიშნეს, რომ ალექსეი ნავალნი კვლავ კომაშია, თუმცა მის სიცოცხლეს სერიოზული საფრთხე არ ემუქრება. სპეციალისტები არ გამორიცხავენ, რომ ალექსეი ნავალნის მკურნალობის შემდეგ ნერვული სისტემის გართულებები ექნება.

20 აგვისტოს ქალაქ ტომსკიდან მოსკოვში თვითმფრინავით მგზავრობისას, ალექსეი ნავალნი ცუდად გახდა, რის გამოც თვითმფრინავი ავარიულად, ომსკში დაეშვა, სადაც ნავალნი მოწამვლის სიმპტომებით რეანიმაციაში მოათავსეს.

22 აგვისტოს ალექსეი ნავალნი სამკურნალოდ გერმანიაში გადაიყვანეს.

სალომე ზურაბიშვილი: „ვასწავლოთ სკოლებში კონსტიტუცია“

საქართველოს პრეზიდენტი, სალომე ზურაბიშვილი სკოლებში კონსტიტუციისა და კონსტიტუციის პრინციპების სწავლების ინიციატივით გამოდის. კონსტიტუციის დღესთან დაკავშირებით პრეზიდენტმა საგანგებო განცხადება გაავრცელა, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ:

საქართველოში, მიუხედავად სამართლის უძველესი ძეგლების არსებობისა, კონსტიტუციის ისტორია 1918 წელს იწყება, როდესაც მიღებულ იქნა დამოუკიდებლობის აქტი და მოგვიანებით საკონსტიტუციო კომისიამ კონსტიტუციის პროექტი შეიმუშავა.

1921 წელს მიღებული კონსტიტუცია ჩვენს ისტორიაში თავისუფლების სიმბოლოა. მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუციის მიღება სულ რამდენიმე დღით უსწრებდა წინ საქართველოს ოკუპაციას, იგი იქცა თავისუფლების საყრდენად, სახელმწიფოებრიობის აღდგენისა და 1991 წელს მოპოვებული დამოუკიდებლობის სამართლებრივ საფუძვლად.

ცხადია, საბჭოთა კონსტიტუციები – იარაღის, ძალადობის, ანექსიის საშუალებით შექმნილი „ფაქტობრივი მდგომარეობის“ დამკანონებლები, დაცლილნი კანონის სულისა და სამართლიანობისაგან, მძიმე კვალს დატოვებდნენ. ქვეყანა დღემდე იმკის ეროვნული და საზოგადოებრივი ინსტიტუტების დანგრევის მძიმე შედეგს, რამაც საქართველოს მოქალაქეებს ჩაუნერგა ნიჰილიზმი კანონისა და სახელმწიფოსადმი, გაუცხოება ხელისუფლების მიმართ, სკეპტიციზმი მისი სამართლებრივი გზით შეცვლის შესაძლებლობის თაობაზე.

მიუხედავად ამ მძიმე წარსულისა, ჩვენ მოვახერხეთ დიდ წილად დაგვეძლია ჩვენს სამართლებრივ ცნობიერებაში ჩანერგილი მანკიერი მოდელები. შევძელით ხელისუფლება არჩევნების გზით შეგვეცვალა. შევძელით და მივიღეთ ახალი კონსტიტუცია, რომელშიც ასახულია საერთაშორისოდ აღიარებული სამართლებრივი სტანდარტები და დემოკრატიული პრინციპები. სულ ახლახან კი განვახორციელეთ საკონსტიტუციო ცვლილებები, რომლებიც გზას უხსნის ოქტომბერში სამართლიანი და დემოკრატიული არჩევნების ჩატარებას. მჯერა, რომ არავინ შეეცდება გავიდეს კანონისა და კონსტიტუციის ჩარჩოებიდან, არავინ შეეცდება აგრესიის, დესტაბილიზაციის, პოლარიზაციის, ქაოსისა და არეულობის გზით მიაღწიოს დასახულ პოლიტიკურ მიზანს. კონსტიტუციურ გზას ალტერნატივა არ გააჩნია.

კონსტიტუცია არ არის გაქვავებული სამართლებრივი ძეგლი. კონსტიტუცია არის ცოცხალი არსება, რომელიც ჩვენთან ერთად იზრდება და იხვეწება, ასახავს სახელმწიფოს განვითარების ეტაპებს. ჩვენი განვითარების შემდეგი ეტაპი კი საქართველოს გამთლიანებაა, რომელიც მხოლოდ ტერიტორიისა და საზღვრების საკითხი არ არის. საქართველო ვერ გადალახავს თავის ტრაგიკულ გამოცდილებას, ვერ მოიტოვებს უკან თავისი დანაწევრების ისტორიას, ვერ გამთლიანდება აფხაზ და ოს ხალხებთან საერთო ინტელექტუალური, კულტურული და ღირებულებითი სივრცის აღდგენის გარეშე. სწორედ კონსტიტუციას შესწევს ძალა, ჩამოაყალიბოს ერთიანი სახელმწიფოებრივი და სამართლებრივი ცნობიერება.

ეს არის ჩვენი მომავლის გზა!

და ამიტომაც გამოვდივარ ინიციატივით – ვასწავლოთ სკოლებში კონსტიტუცია და კონსტიტუციის პრინციპები! კონსტიტუცია აღქმული უნდა იყოს, როგორც პრინციპების და ნორმების ცოცხალი კრებული, რადგან სწორედ მათ განხორციელებას ეფუძნება ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობა, თავისუფლება და წინსვლა.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეჟავრაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი: 599-532-690
ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ივანიშვილი ვისთანაც კოალიციას შეიძლება დათანხმდეს, დღეს ისინი ჩუმად არიან“

სოსო ცინცაძე: „თუ ოპოზიციამ თქვა – არჩევნები გაყალბდა! ამ დროს გადამწყვეტი სიტყვა საერთაშორისო დამკვირვებლებს ეკუთვნით“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი, პროფესორი სოსო ცინცაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო სოსო, 30 ოპოზიციურმა პარტიამ ხელი მოაწერა არჩევნებზე ხმების დაცვის შესახებ გადაწყვეტილებას. რამდენად იმუშავებს ეს შეთანხმება?

– ამ შეთანხმებას რეალური ძალა ექნება თუ მმართველი პარტიაც დაეთანხმება. შეიძლება მონაწილეობა არ მიიღოს, მაგრამ არ დაუპირისპირდეს მაინც. თუ ოპოზიციამ თქვა – არჩევნები გაყალბდა! ამ დროს გადამწყვეტი სიტყვა საერთაშორისო დამკვირვებლებს ეკუთვნით. ამიტომ არის მნიშვნელოვანი, რაც შეიძლება მეტი დამკვირვებელი იყოს მოწვეული. მიუხედავად ამისა, როდესაც საერთაშორისო დამკვირვებლების იმედად რჩება არჩევნების ბედი, ამ შემთხვევაში ოპოზიციის შანსებს მაინცდამაინც დიდ შეფასებას ვერ მივცემდი, რადგან ამ დროს მნიშვნელოვანი ხალხია. ბელარუსში თავად მოსახლეობა გამოვიდა ქუჩაში.

– ფიქრობთ, არჩევნების გაყალბებას ამომრჩეველი ყველაზე უკეთესად გრძნობს?

– რასაკვირველია. ხალხის, ამომრჩევლის მოტყუება შეუძლებელია, მაგრამ ერთია, როდესაც ის ამას გრძნობს, მაგრამ ეგუება და მეორეა, როდესაც გადაწყვეტილებას იღებს, რომ არ შეეგუოს. საქართველოში იდეალური არჩევნები ორისამი თუ ჩატარდა. სიმართლე გითხრათ, მე მეეჭვება, რომ ეს არჩევნები სანიმუშო იყოს. ორივე მხარე, ოპოზიციაც და ხელისუფლებაც იფიცება, რომ მათი მხრიდან დემოკრატიული არჩევნების ყველა ნორმა დაცული იქნება, მაგრამ რაც უფრო მეტს იფიცებიან, ბოლოს მით უფრო მეტი კითხვა ჩნდება.

მიუხედავად ყველაფრისა, ოპოზიციის ამ საკითხზე შეთანხმების არც გაზვიადების მომხრე ვიქნებოდი და არც გაფერმკრთალების. მიუხედავად ყველაფრისა, ეს თავის საქმეს მაინც გააკეთებს თუნდაც უცხოეთთან მიმართებით. საელჩოები, პირველ რიგში, ამერიკის საელჩო დაფიქრდება, რომ ე.ი. რაღაც საფუძველი არის, რომ ოპოზიციას გაყალბების ეშინია. ხომ იცით, უკვამლოდ ცეცხლი არ ჩნდება. ეს უნდობლობა ერთიორად მას შემდეგ გაიზარდა, რაც „ქართულმა ოცნებამ“ ყველაფერი გააკეთა სალომე ზურაბიშვილის გაპრეზიდენტებისთვის. ეს იყო „ოცნების“ ტაქტიკური შეცდომა.

– მათ არ დაუშვეს „ნაციონალების“ გამარჯვება.

– გასაგებია, მაგრამ არაფრად ულირდათ, რადგან დიდი განსხვავება არ იქნებოდა პრეზიდენტი იქნებოდა სალომე ზურაბიშვილი თუ გრიგოლ ვაშაძე. იმის შიში, რომ მიხეილ სააკაშვილს შეიწყალებდა და ჩამოიყვანდა, ეს ზღაპარი იყო.

– რატომ?

– იმიტომ, რომ არც ერთ პრეზიდენტს არ სურს პერსპექტივაში თავისი კონკურენტი. აუტკივარი თავის ატკივებაზე ვსაუბრობ. ამიტომ ვამბობ, რომ ეს იყო ტაქტიკური შეცდომა, რომელიც ხელისუფლებამ დაუშვა. ტაქტიკური შეცდომა, რომლის ანასხლეტებსაც ე.წ. რიკოშეტებს ამ არჩევნებზე აუცილებლად მოიმკის. ეს საფრთხე არის.

– ბატონო სოსო, არ გამორიცხავენ პოლიტიკურ კრიზისს, რადგან როგორც ამბობენ, სექტემბერში ოპოზიცია ასევე შეთანხმდება, რომ „ქართულ ოცნებას“ კოალიცია არ შეუქმნას. რამდენად რეალურია პოლიტიკური კრიზისი?

– პროპორციული საარჩევნო სისტემისთვის პოლიტიკური კრიზისი ჩვეულებრივი მოვლენაა.

– დასავლეთში, მაგრამ არა ჩვენთან, სადაც პოლიტიკური კულტურა დაბალია.

– სისტემაზე ვსაუბრობ, რომელიც იტანს ასეთ კრიზისებს, როგორც სურდოს, როგორც გაციებას ყოველგვარი გართულების, ყოველგვარი სიცხის გარეშე. ამ დროს მთავარი ხდება დიპლომატია, მოლაპარაკებები. მართალია ძალიან მძიმე კულტურული მოლაპარაკებები იწყება პორტფელების გასაყოფად, მაგრამ ეს არის კოალიცია, ეს არის დემოკრატია.

თუ ვივარაუდებთ, რომ არჩევნებში მაინც ყველაზე მეტ ხმას „ოცნება“ აიღებს, მაგრამ არა იმდენს, რომ მარტომ შეძლოს მთავრობის ფორმირება, ამ შემთხვევაში კოალიციური მთავრობის შექმნა სულაც არ გამოიწვევს კრიზისს. მე მაინც არ ველოდები იმ დონის კრიზისს, რომ რიგგარეშე არჩევნები გახდეს საჭირო. კოალიცია შეიქმნება, მაგრამ როგორი კოალიცია?!

– შეიძლება ოპოზიცია თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდეს და ე.წ. სატელიტ პარტიებთან შექმნას „ოცნებამ“ კოალიცია?

– დიახ, სწორედ ამაზე ვსაუბრობ. ვინც აცხადებს ბიძინასთან არ შევქმნით კოალიციას, ბიძინას მათთან სულაც არ უნდა კოალიცია. ივანიშვილი ვისთანაც კოალიციას შეიძლება დათანხმდეს, დღეს ისინი ჩუმად არიან. ჭიქაში ქარიშხალს არ ტეხენ, რადგან ცხადია, რომ დღევანდელი რეალობით „ოცნების“ გარეშე კოალიცია წარმოუდგენელია. სოციოლოგიური კვლევები ამას აჩვენებს, გარდა ამისა, რატომ ივიწყებენ ადმინისტრაციულ რესურსს, არ მესმის. ადმინისტრაციული რესურსი გაყალბებას ხომ არ ნიშნავს?! სააკაშვილმა არჩევნები იმიტომ წააგო, რომ ჩინოვნიკები გამოვიდნენ რეჟიმის წინააღმდეგ.

კიდევ ერთი ფაქტორი: დასავლეთის ინტერესი, პირდაპირ ვთქვათ, ამერიკის ინტერესი ძალიან დიდია. ასევე მნიშვნელოვანია, პანდემიური მდგომარეობა თუ როგორი იქნება წინასაარჩევნოდ ქვეყანაში. ერთი სიტყვით, ბევრი ფაქტორი იმუშავებს. ერთი, რაც დანამდვილებით ვიცი, ის არის, რომ ეს იქნება განსაკუთრებული არჩევნები.

თუ ვინმეს იმედი აქვს, რომ ეს არჩევნები წინა არჩევნების სცენარით ჩატარდება, ძალიან ცდება. თუმცა, მგონია, ასეთი ნეტარ მორწმუნენი მმართველ პარტიაშიც აღარ არიან. შინაგანად ყველა მაინც მისულია იმ აზრამდე, რომ კოალიციური მთავრობა გარდაუვალია.

თამარ ბაჩალიაშვილის მანქანას მისი სიკვდილის დღეს 3 სხვა მანქანა მიჰყვებოდა

საქმის ახალი დეტალები

თამარ ბაჩალიაშვილის სავარაუდო მდევრების ვინაობა, რომელთაც გამოძიება საგულდაგულოდ მალავდა, „მთავარმა არხმა“ გაარკვია.

საქმეში არსებული ვიდეოჩანაწერებით დგინდება, რომ დაღუპულ პროგრამისტს

19 ივლისს, თეთრიწყაროს მიმართულებით მოძრაობისას, 3 ავტომობილი უთვალთვალებს, რომლებიც, სავარაუდოდ, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საკუთრებაშია.

კამერების ჩანაწერებს კარგად იცნობს თამარ ბაჩალიაშვილის ოჯახიც, რომელიც ვარაუდობს, რომ თვალთვალში ძალოვანი უწყების მაღალჩინოსნები ფიგურირებენ.

„მთავარის“ ინფორმაციით, საქმის ახალ გარემოებებზე პირველად, „მთავარ აქცენტებში“, ნიკა გვარამიამ ისაუბრა. ახალი დეტალებით დგინდება, რომ 3 ავტომობილი, რომელიც ბაჩალიაშვილის მანქანას გარდაცვალების დღეს უკან მიჰყვებოდა, ოპერატიული ნომრებითაა აღჭურვილი. ავტომობილებს მსგავსი სანომრე ნიშნებით უსაფრთხოების სამსახური ოპერატიული დავალებების შესრულებისას იყენებს.

საქმის ეს გარემოება არაა ერთადერთი დეტალი, რომელიც გამოძიების ვერსიას თავდაყირა აყენებს. ნიკა გვარამიას ინფორმაციით, 23 წლის პროგრამისტს სხვადასხვა კომპანიის ანგარიშებიდან თანხა მოახსნევინეს, შემდეგ კი თავიდან მოიშორეს.

18-ტომიან საქმეში კიდევ ერთ ბუნდოვანებას პროგრამისტის კუთვნილი მეხსიერების ბარათი აჩენს. ოჯახს აინტერესებს, რატომ გააქრო საგამოძიებო უწყებამ ჩიპი, რომელიც, მათი მტკიცებით, საქმის ერთ-ერთი მთავარი მტკიცებულებაა. ოჯახის ადვოკატი აცხადებს, რომ საქმის გაყალბება ჯერ შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაიწყო, შემდეგ კი პროკურატურამ გადაიბარა.

გამოძიებას უნდობლობას უცხადებს საქმეში ჩართული დამოუკიდებელი ექსპერტიც. არასამთავრობო ორგანიზაცია საგამოძიებო უწყებას კითხვით მიმართავს და ინტერესდება, პროგრამისტის გარდაცვალებიდან 1 თვის შემდეგაც, რატომ არ სრულდება ტოქსიკოლოგიური ექსპერტიზა, რომელმაც უნდა დაადგინოს, გამოიწვევდა თუ არა თამარ ბაჩალიაშვილის ორგანიზმში აღმოჩენილი მედიკამენტები მის სიკვდილს.

საქმეში აღმოჩენილი ახალი გარემოებები გამოძიების აქამდე არსებულ ყველა ვერსიას თავდაყირა აყენებს. თუ საგამოძიებო უწყება მდევრების იდენტიფიცირებითა და საეჭვო ტრანზაქციით დაინტერესდება, არ არის გამორიცხული, თამარ ბაჩალიაშვილის საქმის კვალიფიკაცია შეიცვალოს.

18-ტომიან საქმეში კი ოჯახის ადვოკატი პასუხს ყველა იმ შეკითხვაზე ეძებს, რაც ოჯახსა და უფლებადამცველს ბაჩალიაშვილის ბუნდოვანი გარდაცვალების შესახებ აქვს.

„ესენი პოლიტიკური ინდმეწარმეები არიან“

გია ვოლსკიმ ოპოზიციას დასცინა

პარლამენტის პირველი ვიცე-სპიკერის, გია ვოლსკის განცხადებით, ოპოზიციური პარტიების გამაერთიანებელი ქვეყანაში დესტრუქციისა და არეულობის მოწყობის სურვილია და „ქართულ ოცნებას“ არ აქვს აუცილებლობა, კოალიციურ შემადგენლობაში ჰყავდეს ასეთი პოლიტიკური სუბიექტები.

– რაც გასათვალისწინებელია, 30 პარტიიდან ყველა არ არის პარტია, ზოგი პოლიტიკური ინდმეწარმეა. რაოდენობრივად ბევრი ჩანან, ხალხის ყურადღების მიპყრობა სურთ და გარდა ამისა, გამაერთიანებელი რაც აქვთ, ეს არის დესტრუქციის, არეულობის მცდელობა და ამას თავის განცხადებებშიც ადასტურებს ცალკეული მათგანი.

კრიზისთან დაკავშირებით თავისუფლად საუბრობენ და მთავარი მიზანი და მისწრაფება პრაქტიკულად გამოდის, რომ სახელმწიფოში, მათი მოსაზრებით, არ უნდა იყოს სტაბილური ხელისუფლება.

გუშინ ეს პარტიები ერთმანეთს კრემლის აგენტებს და დასავლეთის მონებს ეძახდნენ. ეს გაერთიანება არის პოლიტიკურ სუბიექტთა გაერთიანება, რომელიც ქვეყანას პირდება დესტაბილიზაციას, დესტრუქციას და მადლობა ღმერთს, რომ „ქართულ ოცნებას“ არ აქვს აუცილებლობა, კოალიციურ შემადგენლობაში ჰყავდეს ასეთი პოლიტიკური სუბიექტები, – განაცხადა გია ვოლსკმა.

როგორც გია ვოლსკმა ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნა, ის დარწმუნებულია, რომ საზოგადოება შეაფასებს ვითარებას და სწორ გადაწყვეტილებას მიიღებს სტაბილურობის სასარგებლოდ.

კოვიდ 19-ით მე-18 პაციენტი გარდაიცვალა

საქართველოში კოვიდ 19-ით მე-18 პაციენტი გარდაიცვალა.

მცხეთის სამედიცინო ცენტრის ექიმ-რეანიმატოლოგის, ივანე ჯავახიშვილის განცხადებით, კორონავირუსით გარდაცვლილი მე-18 პაციენტი, 87 წლის ქალი კლინიკაში შეყვანის დღიდან მართვით სუნთქვაზე იმყოფებოდა.

როგორც მან ჟურნალისტებს განუცხადა, პაციენტი კორონავირუსის დადასტურების შემდეგ რუსთავის სამედიცინო ცენტრიდან გადაიყვანეს და მისი ინფიცირების წყარო უცნობია.

– პაციენტი ჩვენს კლინიკაში მკურნალობდა 29 ივლისიდან, დიაგნოზებით: კოვიდვირუსული ინფექცია, სუნთქვის მწვავე უკმარისობა, პნევმონია. ქალს აღენიშნებოდა თანმხლები ქრონიკული პათოლოგიები – გულის ქრონიკული უკმარისობა, მოციმციმე არითმია, შაქრიანი დიაბეტი, სხვადასხვა სარქოვანი პათოლოგია.

პაციენტი მკურნალობის განმავლობაში იმყოფებოდა მართვით სუნთქვაზე. მკურნალობის განმავლობაში უტარდებოდა სათანადო კვლევები და კონსულტაციები, თუმცა დინამიკაში ავადმყოფს აღენიშნა მარჯვენა ბარძაყის არტერიის ანევრიზმის რუპტურა, ჩაუტარდა გადაუდებელი ქირურგიული ჩარევა.

პოსტოპერაციულად პაციენტის მდგომარეობის სტაბილიზაცია ვერ მოხერხდა თავისი ქრონიკული დაავადებებიდან გამომდინარე და, სამწუხაროდ, დღეს დილით ქალბატონი გარდაიცვალა, – განაცხადა ექიმ-რეანიმატოლოგმა ივანე ჯავახიშვილმა.

25 აგვისტო საქართველოში გლოვის დღედ გამოცხადდა

შატილის გზაზე მომხდარი ტრაგედიისას დაღუპულთა ხსოვნის პატივსაცემად, 25 აგვისტო საქართველოში გლოვის დღედ გამოცხადდა.

შესაბამის განკარგულებას პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ ხელი 24 აგვისტოს მოაწერა.

განკარგულების თანახმად, გლოვის დღესთან დაკავშირებით, საქართველოს მთელს ტერიტორიაზე, ყველა ადმინისტრაციულ შენობაზე სახელმწიფო დროშა დაეშვება.

საზოგადოებრივი მაუწყებლის შენობაში ბომბი არ აღმოჩნდა

გუშინ, 24 აგვისტოს, საზოგადოებრივი მაუწყებლის ცხელ ხაზზე შევიდა შეტყობინება, რომ შენობაში ბომბი იყო.

ანონიმური ზარის შემდეგ, შენობიდან თანამშრომლების ევაკუაცია განხორციელდა. ადგილზე შს სამინისტროს კინოლოგიური სამსახური მუშაობდა.

საბოლოოდ, საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის შენობაში ბომბი არ აღმოჩნდა. ტელევიზიის თანამშრომლები შენობაში შეუშვეს.

– შენობა მთლიანად შემოწმებულია. როგორც სამართალდამცავებმა გვითხრეს, აქ ყოფნა და მუშაობის გაგრძელება უსაფრთხოა. შესაბამისად, ჩვენი ჟურნალისტები უკვე შეუდგნენ მუშაობას, დარწმუნებული ვარ, ზარის ავტორი იდენტიფიცირებული იქნება, – განაცხადა საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა თინათინ ბერძენიშვილმა.

შევიძენ

ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს და ფაიფურს.

ტელ.: 598-43-98-57

„ქართული ოცნებისათვის“ ნაციონალური მოძრაობა მორგებული ოპოზიციაა

მამუკა გიორგაძე: „საქართველოში ხდება პოლიტიკის დეგენერატიზაცია“

მარიამ მჭედლიშვილი

წინასაარჩევნოდ შექმნილ ვითარებაზე „ახალი თაობა“ ესაუბრა სახალხო პარტიის ლიდერს, ყოფილ დეპუტატ მამუკა გიორგაძეს.

– 30-მდე ოპოზიციური პარტია აფორმებს დეკლარაციას იმის შესახებ, რომ ისინი უარს ამბობენ მომავალში „ქართული ოცნების“ კოალიციაში შესვლაზე. თქვენი პოზიცია როგორია?

– ეს ქართული პოლიტიკის კიდევ ერთი აბსურდია. იმის მაგივრად, რომ განიხილებოდეს საარჩევნო პერიპეტიები, იყოს იდეების ჭიდილი, გვთავაზობენ ასეთ უაზრო თემებს. მაგალითად, ვინ უნდა დასახელდეს პრემიერ-მინისტრის კანდიდატად და ვინ არ უნდა შევიდეს კოალიციაში „ქართულ ოცნებასთან“. მანამდე ხალხი გააბრუეს იმაზე ყვირილით, მაჟორიტარული უნდა იყოს სისტემა თუ პროპორციული, ან პროპორციულთან მიახლოებული, ვინ არის პოლიტპატიმარი.

– ამ საკითხებისთვის ამდენი ყურადღება არ უნდა დაეთმოთ?

– რასაკვირველია. მთელი ყურადღება გადატანილია იმაზე, რაც არ არის პოლიტიკის პრობლემა. საზოგადოებას საერთოდ არ აინტერესებს, ვინ დაჯდება და ვინ არ დაჯდება ივანიშვილთან. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ივანიშვილი თვითონ მშვენივრად თანამშრომლობდა ნაციონალურ მოძრაობასთან. შემდეგ მოვიდა პოლიტიკაში, ხელისუფლებაში და ყოფილი ნაციონალები გვერდით დაიყენა. გაარკვიონ, რა აღელვებს ხალხს.

– სოციალური მდგომარეობის გარდა, რა აღელვებს ხალხს?

– რა თქმა, უნდა, ტერიტორიული მთლიანობა. ადამიანებს უნდათ გაიგონ, რას იტყვის ხელისუფლება აფხაზეთზე. ეჭვი მეპარება, რომ „ოცნების“ ხელისუფლებამ რაიმე სასიკეთო გააკეთოს, მაგრამ წარმოვიდგინოთ, რომ ეს მოხდა. თუ მართლაც ქვეყნისთვის სასიცოცხლო ნაბიჯი გადადგა, რატომ არ უნდა დაველაპარაკო მაშინ ხელისუფლებას?! იქნებ, დეკლარაციების მოყვარული ოპოზიცია უშვებს დიდ შეცდომას ან დანაშაულს ქვეყნის წინაშე, მაშინ, აპრიორი რატომ უნდა ვთქვა, რომ მათთან ვარ?!

– ანუ ამგვარი დეკლარაციების მიღება და რაღაც პირობების დადება სწორი არ არის?

– რასაკვირველია. არის ხმაური ფორმებზე

ჯანსაღი, თვითმართვადი ოპოზიცია საჭიროა ამ დამყაყებული სისტემიდან გამოსასვლელად

და არა შინაარსზე. ეს არ არის პოლიტიკა. საქართველოში ხდება პოლიტიკის დეგენერატიზაცია. ეს დაახლოებით იგივეა, თბილისის „დინამოს“ ბარსელონას ან რეალის მაისურები რომ ჩააცვა და კარგი ფეხბურთი მოსთხოვო. მთავარ, სახელმწიფოებრივ პრობლემებზე არავინ მსჯელობს. 20 წელიწადია, არც ერთი ხელისუფლებისაგან აფხაზეთის პრობლემის განხილვა არ მოგვისმენია. არ ხდება საშუალო და მცირე ბიზნესის პერსპექტივებზე ლაპარაკი, ასევე საქართველოს როლის განსაზღვრა ნატოსა და ევროკავშირში.

– საქართველოს ამ ორგანიზაციებში შესვლაზე დროდადრო საუბრობენ.

– იშვიათად საუბრობენ. მე ამ ორგანიზაციებში საქართველო მათხოვრად არ მინდა. ჩვენ გვინდა, საქართველო ღირსეული იყოს და იქ თავისი ღირსებებით შევიდეს. სად არის პრობლემებზე მსჯელობა? სად არის ილიასეული მორიგება საზოგადოების ფენებს შორის, რატომ არ ჩანს კონსენსუსი?! თუ ამ ვითომ ოპოზიციას სამართლიანი არჩევნები უნდა, რატომ მთავარს არ მოითხოვს?!

– მთავარი რა არის?

– საარჩევნო კანონმდებლობის შეცვლა. ცესკოში რომ 12 წევრიდან 10 „ქართული ოცნებისაა“, ამაზე რატომ არაფერს ამბობენ? ამომრჩეველთა სიები ისეთივე გაბერილია, როგორც 2012 წელს და მანამდე იყო. სამართლიან არჩევნებზე, სახელმწიფოებრივ, სულიერ საკითხებზე არავინ ლაპარაკობს. ხელისუფლებასაც მეტი რა უნდა. გვთავაზობენ ისეთ არჩევანს, როგორიც საბჭოთა კავშირის დროს იყო –ან წითელი, ან შავი.

– მაშინ წითლები და შავები, ანუ კომუნისტური ხელისუფლება და კრიმინალური სამყარო ერთმანეთთან გარიგებული იყვნენ. „შავებთან“ თანამშრომლობას „ქართულ ოცნებასაც“ წამოაძახებენ ხოლმე.

– საბჭოური ტიპის მმართველობა გულისხმობს ვითარების მონოპოლიზაციას სხვადასხვა სფეროში, კრიმინალი იქნება ეს თუ კულტურა. ეს ხელისუფლებაც ხომ კლანურია, „ქართული ოცნება“ კი კლანებისაგან შედგება. ასეთივე იყო საკაშვილის, ასევე შევარდნაძის მმართველობაც.

– გამოდის, რომ კრიმინალური სამყაროს გარეშე მართვა არ გამოსდით?

– არ გამოსდით. კრიმინალური სამყარო აუცილებელი ხდება მაშინ, როცა არ არსებობს ნამდვილი სასამართლო და ხდება შავი ფულის განაწილება. საქართველოში დღესაც ბევრი არალეგალური ფული ტრიალებს, წილები გადასანაწილებელია, გავრცელებულია „ატკატების“ პრაქტიკა, ტენდერები უსამართლოდ ტარდება. ნაციონალებმა ეს ყველაფერი კარგად იციან. ისინი თვითონ იყვნენ ხელისუფლებაში და ამაში მონაწილეობდნენ. კიდევ ერთი რამ არ შეცვლილა – სამართალდამცავი სისტემის პოლიტიზაცია.

– ამ ჩამოთვლილი მიზეზების გამო კრიმინალი იზრდება?

– ცხადია. როცა კრიმინალური სამყაროს წარმომადგენლებს მისცემ ერთ, ორ, სამ დავალებას, შემდეგ „შავები“ თავისას მოითხოვენ. გვაქვს ეს სიმბიოზი, მაგრამ არ გაგვაჩნია პოლიტიკური ინფრასტრუქტურა.

– მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში ამდენი პარტია იყო და არის?

– მმართველი ძალები არ იყვნენ დაფუძნებული იდეებზე, თანამოაზრეთა ერთობებზე. მათ ნორმალური პროგრამებიც არ ჰქონიათ. „მრგვალი მაგიდა-თავისუფალი საქართველო“ ზვიად გამსახურდიას სახელზე იყო ჩამოკიდებული, ახლანდელი „ოცნება“ ბიძინა ივანიშვილის სახელს ებღაუჭება. „მრგვალი მაგიდა“ შემდეგ ერთმანეთს იარაღით დაუპირისპირდა. ეს სუბიექტები გამსახურდიას გარეშე არაფერს წარმოადგენდნენ. „მოქალაქეთა კავშირში“, ასევე ნაციონალურ მოძრაობაშიც განხეთქილება გაჩნდა და კლანები ერთმანეთს შეეჯახნენ.

– „ოცნებაზე“ რისი თქმა შეიძლება?

– „ქართული ოცნებისათვის“ ნაციონალური მოძრაობა მორგებული ოპოზიციაა. ამათ რომ ჰკითხო, სააკაშვილის დროს მოსამართლეები ცუდად იქცეოდნენ, ახლა კი სანიმუშოები გახდნენ. კახა ოქრიაშვილით დაწყებული, „ოცნების“ წევრებით და სხვებით დამთავრებული, ყველანი მჭიდროდ არიან მიბმული ნაციონალურ მოძრაობაზე. ვითომ ოპოზიციურ პარტიებს ივანიშვილი აფინანსებს. ყველამ იცის და არავისთვის არ არის დაფარული, რა მოხდა 2016 წელს, საპარლამენტო არჩევნების წინ. არსებობს იმის დამადასტურებელი მასალა, რომ ბურჭულაძის პარტია ფულს ივანიშვილისაგან იღებდა. ფული მიუტანეს ვითომ თავის მოწინააღმდეგეს. ეს ერთი მაგალითია. ამ სისტემაში ყველაფერი გარიგებულია.

– ახლანდელი საარჩევნო მოდელით ეს სისტემა გაირღვევა?

– მიუხედავად იმისა, რომ საარჩევნო სისტემა ძირითადად არ შეცვლილა, შანსი არსებობს. ამ შანსს აჩენს ხელისუფლების სისუსტე. ხელისუფლება რომ ასე იქცევა, ეს მისი სიძლიერის გამოხატულება არ არის. ჯანსაღ პოლიტიკურ ძალებს გაუჩნდათ შესაძლებლობა ისევ მოიკიდონ ფეხი პოლიტიკურ ველზე. რასაკვირველია, მმართველ პარტიას და მასზე უარეს ოპოზიციას არ აწყობს, რომ ვინმემ პარლამენტში ნამდვილ იდეებზე ისაუბროს. მთავარია, საზოგადოებამ გაიაზროს, რა არის ქვეყნისთვის აუცილებელი. საზოგადოებამ უნდა გააცნობიეროს, რისთვის არის საჭირო მრავალპარტიულობა. ეს აუცილებელია სახელმწიფო ინსტიტუტების ჩამოყალიბებისათვის. ამის გარეშე არ გვექნება ნამდვილი უსაფრთხოება და კეთილდღეობა. ამის გარეშე ოკუპირებულ ტერიტორიებზე არავინ ისაუბრებს. მაინცდამაინც სახალხო პარტია უნდა იყოს პარლამენტში, რომ აფხაზეთის თემა წამოსწიონ და ამ პრობლემაზე სახელმწიფოს ხედვა წარმოადგინონ?! ჯანსაღი, თვითმართვადი ოპოზიცია საჭიროა ამ დამყაყებული სისტემიდან გამოსასვლელად. ხრუშჩოვი რომ წავიდა, მოვიდა ბრეჟნევი. სისტემა იგივე დარჩა. ახლაც იგივეა. ეს რომ აღარ გაგრძელდეს და ერთ კაცზე რომ არ იყოს ქვეყანა ჩამოკიდებული, აუცილებელია ცვლილებები. პარლამენტში უნდა მოვიდნენ ძალები, რომლებიც სახელმწიფებრივ პრობლემებს გადაწყვეტენ. სახელმწიფო ინსტიტუტების ჩამოყალიბება მოიტანს კეთილდღეობას, უსაფრთხოებას ბიზნესისთვის, ადამიანებისთვის, კრიმინალის შემცირებას და სხვა.

კელი დეგნანი შატილის გზაზე ავარიაზე – იცოდეთ, რომ მარტო არ ხართ

საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი კელი დეგნანი შატილში მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად 17 ადამიანის გარდაცვალების გამო მწუხარებას გამოთქვამს. ამის შესახებ დეგნანის განცხადებას აშშ-ის საელჩო ავრცელებს.

– ამერიკის საელჩოს სრული შემადგენლობის სახელით, მსურს, ღრმა მწუხარება გამოვხატო 23 აგვისტოს შატილში ტრაგიკულად დაკარგული 17 სიცოცხლის გამო.

ვფიქრობთ მათზე, ვინც დაიღუპა და ვინც ამ ძმიმე წუთებში მათ დაკარგვას გლოვობს. იცოდეთ, რომ მარტო არ ხართ. თქვენ გარშემორტყმული ხართ ხალხით, ვინც თქვენს მწუხარებას იზიარებს, – განაცხადა კელი დეგნანმა.

„დროა, პრემიერი დაინტერესდეს და პრიორიტეტულ საკითხად გამოაცხადოს გზებზე მსხვერპლის შემცირება“

„საქართველოს ალიანსი უსაფრთხო გზებისთვის“ გამგეობის თავმჯდომარე ეკა ლალიაშვილი მიიჩნევს, რომ დროა, პრემიერ-მინისტრი დაინტერესდეს და პრიორიტეტულ საკითხად გამოაცხადოს გზებზე მსხვერპლის შემცირება.

მისივე თქმით, შატილის ტრაგედიამ მკაფიოდ დაგვანახა თუ რამდენად დიდი გამოწვევების წინაშე დგას თითოეული ჩვენგანი, ვინც გადაადგილდება ტურისტულ ზონებში თუ სხვა გზებზე.

– წლებია ვსაუბრობთ, რომ ყოველწლიურად გვეღუპება 500-მდე ადამიანი და 8 000-მდე პირი იღებს დაზიანებას და ამ მსხვერპლის დიდი ნაწილი ახალგაზრდები არიან, ადამიანები, რომლებიც ჩვენი ქვეყნის გენოფონდს წარმოადგენენ. საერთაშორისო მრავალწლიანი გამოცდილება გვიჩვენებს, რომ საგზაო შემთხვევებში მსხვერპლის შემცირება შესაძლებელია, მაგრამ ამას სჭირდება როგორც სახელმწიფოს, ასევე საზოგადოების ჩართულობა. საგზაო უსაფრთხოება მეტად კომპლექსური საკითხია და საჭიროებს უწყებათაშორის ეფექტურ, მიზანმიმართულ, შედეგზე ორიენტირებულ მუშაობას. ბოლო თვეებში „კოვიდ19“-თან ბრძოლაში სახელმწიფოს მიერ გატარებულმა ღონისძიებებმა დაგვანახა, რომ თუ პოლიტიკური ნება არსებობს, სერიოზულ გამოწვევებთან გამკლავება შესაძლებელია! საქართველოში ბოლო 6 თვეში „კოვიდ 19“-ით 17 ადამიანი დაიღუპა, საგზაო შემთხვევებში კი მხოლოდ ერთ თვეში გვეღუპება საშუალოდ 40 ადამიანი. მეტი ძალისხმევა რომ მოხმარდეს საგზაო შემთხვევებთან ბრძოლას, ასობით ადამიანს გადავარჩენთ გზებზე დაღუპვისგან. დროა, პრემიერ-მინისტრი დაინტერესდეს და პრიორიტეტულ საკითხად გამოაცხადოს გზებზე მსხვერპლის შემცირება, – აცხადებს ეკა ლალიაშვილი.

ამირან გამყრელიძე: „ეპიდსიტუაცია სრულად მართვადია“

დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელის, ამირან გამყრელიძის განცხადებით, ბათუმსა და ქობულეთში, ბოლო სამი დღის განმავლობაში PCR ტესტირება 220-მდე მოქალაქეს ჩაუტარდა. მისივე თქმით, ყველა აღებული ნიმუში უარყოფითია.

ამასთან, როგორც გამყრელიძე აღნიშნავს, ქვეყანაში ეპიდსიტუაცია სრულად მართვადი და კონტროლირებადია, თუმცა ეს დამშვიდების საფუძველი არაა.

– მთლიანად მსოფლიოსა და რეგიონში სიტუაცია არასახარბიელოა. ჩვენთან შეზღუდვები მოხსნილია, მობილობა გაზრდილია და ეს მომატებული რისკია ინფექციის გავრცელების. ყველა ის ღონისძიება დასაცავია, რისი რეკომენდაციაც არის. ყველას გთხოვთ, პირბადე დახურულ შენობებში ყველამ ვატაროთ. ასევე სასურველია, პირბადე ვატაროთ, როცა შენობებს გარეთ ვართ და ვართ ჯგუფურად რამდენიმე ათეული ადამიანი შეკრებილი. მეტრი, მეტრნახევარი ან ორი მეტრი დისტანციის დაცვა ჯგუფური თავყრილობისას სასურველია. ასევე აუცილებელია ხელების დაბანა, პირადი და საზოგადოებრივი ჰიგიენის დაცვა. კოვიდი არსად გამქრალა, ის ჩვენთან ერთად არის, ქვეყანაში ცირკულირებს და არ უნდა მივცეთ საშუალება, რომ ეს შემთხვევები, რაც გვაქვს, გადაიზარდოს ფართომასშტაბიან ეპიდემიაში. გთხოვთ და მოგიწოდებთ, რომ დავიცვათ რეგულაციები, თავი ავარიდოთ დიდ თავშეყრებს, რომელიც იქნება დახურულ თუ ღია სივრცეში, რადგან ის ყოველთვის არის ინფექციის გავრცელების მომატებული რისკი, – განაცხადა ამირან გამყრელიძემ.

ირმა ინაშვილი: „პატრიოტთა ალიანსი“ 4 ამერიკულ, 2 ებრაულ და მხოლოდ ერთ რუსულ საკონსულტაციო კომპანიასთან თანამშრომლობს“

„პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერის ირმა ინაშვილის განცხადებით, მისი პარტია 4 ამერიკულ, 2 ებრაულ და მხოლოდ ერთ რუსულ საკონსულტაციო კომპანიასთან თანამშრომლობს.

როგორც ინაშვილმა ბრიფინგზე განაცხადა, რუსული საინფორმაციო სააგენტო „დოსიეს“ დასკვნები, რომ „პატრიოტთა ალიანსი“ დაფინანსებას რუსეთიდან იღებს, არ შეიძლება ფაქტად განიხილებოდეს. მისი თქმით, პარტნიორი კომპანიები ეხმარებიან პარტიას ბიუჯეტის გაანგარიშებაში.

– 4-მა ამერიკულმა კომპანიამ ანალოგიურად შეგვიდგინა პესიმისტური, შუალედური და ოპტიმისტური ბიუჯეტი, რატომ არ ამბობთ, რომ ეს ბიუჯეტი ტრამპს შეუტანეს? ასევე, ორმა ებრაულმა კომპანიამ შეგვიდგინა ბიუჯეტის გაანგარიშება და რატომ არ ამბობთ, რომ ეს ბიუჯეტი ნეთანიაჰუს შეუტანეს? – განაცხადა ინაშვილმა.

როგორც ის აღნიშნავს, „პატრიოტთა ალიანსი“ ასეთ თავდასხმებს ელოდა და ეს მოულოდნელი არ არის“.

– ჩვენ ნამდვილად ვთანამშრომლობთ საკონსულტაციო კომპანიებთან. ჩვენ ვთანამშრომლობთ 4 ამერიკულ კომპანიასთან, რომლებიც წლების განმავლობაში გვიწევდნენ და გვიწევენ კონსულტაციას. საარჩევნოდ ჩამოვლენ ჩვენს ქვეყანაში. ამ ამერიკელი კონსულტანტების დახმარებით გვქონდა შეხვედრები სენატორებთან და კონგრესმენებთან. გვყავს ასევე 2 ებრაული კომპანია, რომლებთანაც ვთანამშრომლობთ და გვიწევენ კონსულტაციას. მხოლოდ ერთია რუსული კომპანია, რომელიც გვიწევს კონსულტაციას, – განაცხადა ინაშვილმა.

„6 საათზე ჩემგან თაფლი იყიდეს და ცოტა ხანში რაღაც ხმა გავიგონეთ“

რა ხდებოდა ხევსურეთის ავარიამდე რამდენიმე წუთით ადრე

ნუცა ყანადაშვილი და დედამისი, დები ხათუნა და ირმა მარუაშვილები, ხატია ზაალიშვილი – ვინ დაიღუპა შატილის გზაზე

შატილის გზაზე 23 აგვისტოს მომხდარ ტრაგედიას, რომელმაც მთელი საქართველო შეძრა, 17 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა.

„ამბებს“ ესაუბრა თვითმხილველი, რომელიც ტრაგედიის ადგილზე ერთ-ერთი პირველი ჩავიდა და სამაშველო სამუშაოებში მიიღო მონაწილეობა.

– შემთხვევის ადგილზე, ხევში რომ ჩავედი, საშინელი სურათი დამხვდა. მიკროავტობუსი დაახლოებით 100 მეტრის სიმაღლიდან გადავარდა, მგზავრებიდან 17 ქალია, 3 – მამაკაცი. ოცდან ერთი კანადის მოქალაქე ყოფილა, რომელიც ზუსტად არ ვიცით, საიდან მოვიდა, მათ დაემგზავრათ, თუ რა მოხდა.

მერსედესის „სპრინტერის“ მიკროავტობუსი სისწრაფით მიდენილა, შემდეგ მუშების გაჩერებულ და ცარიელ მანქანას დასჯახებია და ისიც გადაუგდია ხევში. ამ 20-დან 4 ცოცხალი ამოვიყვანეთ და ერთი მალევე გარდაიცვალა.

მთლიანობაში, 20 მგზავრიდან სამია გადარჩენილი. ერთი ქალბატონი იყო კონტაქტური და მხოლოდ იმას ამბობდა, მტკივა, ნელაო. მგზავრებს შორის მცირეწლოვნები არ ყოფილან, ყველანი 30 წლამდე ასაკისანი არიან. ბისოსთან ეს მოსახვევი სახიფათოა და იქ სწრაფად სიარული დაუშვებელია.

დაღუპულების შესახებ ერთ-ერთმა ადგილობრივმა ფეისბუქში დაწერა:

„დღეს მეგობარმა მომწერა: ვიღაცა იძახდა, გავხედე და ახალგაზრდა გოგოები შემრჩნენ ხელშიო. შენს მზესუმზირებზე მითხრეს, ვიყიდითო – მეთქი გაატანე თუ ეს ბედნიერს გახდით, გამიხარდება-მეთქი.

მეგობარმა, მეც ვუთხარი, თუ ძაან გულით გინდათ, წაიღეთ-თქო. ერთი წავიდა მოსაწყვეტად. მეორემ ფული მომიტანა და არ გამოვართვიო. რამდენიმე საათში კიდევ სხვა მოვიდა, ზუსტად იგივე სურვილითო....

ახლა კი ვიგებ, რომ ის ბავშვები, იმ მზესუმზირებზე, მთაზე და შატილზე შეყვარებული, სიცოცხლით სავსე ახალგაზრდები მიკროავტობუსით ხევსურეთის გზიდან გადავარდნენ..“

ერთ-ერთი ადგილობრივი ამბობს, რომ შემთხვევამდე რამდენიმე წუთით ადრე მიკროავტობუსის მგზავრებმა მისგან თაფლი შეიძინეს.

– დაახლოებით 6 საათზე ჩემგან თაფლი შეიძინეს. არავინ ნასვამ მდგომარეობაში არ იყო და არც მიკროავტობუსს აღენიშნებოდა იმ მომენტში რაიმე პრობლემა. ნომერიც კი გამომართვეს, შემოდგომაზე კიდევ შევიძენთ თაფლსო. მცირე მანძილი გაიარეს, როდესაც რაღაც ხმა გავიგე, ვიფიქრე, გადავარდა მიკროავტობუსი-თქო და წავედი ადგილისკენ.

მართვის მოწმობა რად გინდა, თუ ამ გზაზე გადავარდი? შეიძლება ტექნიკური პრობლემა იყო და დაღმართზე დიდი სისწრაფით დაგორდა მანქანა. სავარაუდოდ, მძღოლი ცდილობდა იქ გაჩერებულ მანქანას დაჯახებით შეეჩერებინა მიკროავტობუსი, არ ვიცი. ადგილს მუხრუჭის კვალი ეტყობოდა, მაგრამ მოხვევის კვალი არ იყო. ალბათ, გაეჭედა რამე. ჩავედით, რომ გვენახა ადგილზე მოქალაქეები. 4 იყო ცოცხალი, თუმცა ერთი მალევე გარდაიცვალა, სამი მოგვიანებით სამედიცინო ბრიგადამ გადაიყვანა კლინიკაში.

***

ერთ-ერთი გარდაცვლილი ნუცა ყანადაშვილია, რომელიც ხევსურეთის ტურში დედასთან ერთად იმყოფებოდა. მომხდარის შედეგად გარდაიცვალა ნუცას დედაც.

უბედურ შემთხვევას ასევე ემსხვერპლნენ დები, ხათუნა და ირმა მარუაშვილები.

კიდევ ერთ გარდაცვლილი ახალგაზრდა წარმოშობით ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ მატნიდანაა. 22 წლის ხატია ზაალიშვილი, თბილისში, დედასთან და მცირეწლოვან შვილთან ერთად ცხოვრობდა.

ახლობლების ინფორმაციით, შავი ზღვის უნივერსიტეტში გოგონას ჩარიცხვის შემდეგ, ოჯახი საცხოვრებლად თბილისში გადავიდა.

– სტუდენტი რომ გახდა, თბილისში გადავიდნენ. მამა ისრაელში ჰყავს. ოჯახიც მატანში შექმნა, ორ წლამდე ასაკის ბავშვი ჰყავს. მოგზაურობა უყვარდა და, ჩემი ინფორმაციით, ერთ-ერთ ტურისტულ სააგენტოშიც მუშაობდა, – თქვა ახლობელმა „პრაიმტაიმთან“.

სოფელ მატანში, ზაალიშვილების საცხოვრებელ სახლში, გარდაცვლილი გოგონას ბებია და პაპა ცხოვრობენ.

ტრაგედიას ემსხვერპლა 25 წლის დეა დევსურაშვილი, იგი ადგილზე გარდაიცვალა. დეა შატილის საბედისწერო ტურზე დასთან, 23 წლის ხატია დევსურაშვილთან ერთად იმყოფებოდა, რომელსაც პირველ საუნივერსიტეტო კლინიკაში სასწრაფო ოპერაცია ჩაუტარდა.

გარდაცვლილია გოგონების ახლო მეგობარიც.

გარდაცვლილებს შორის არის, საბედისწერო ტურის გიდიც, სერგო გორლიუკოვი.

მეგობრები ფეისბუქში წერენ, რომ სერგო იყო გამოცდილი, სანდომიანი, თბილი და ყურადღებიანი გიდი, რომელთან ერთადაც მგზავრობა იყო დაუვიწყარი.

დუშეთში, სამაშველო სამუშაოები შს მინისტრის მოადგილისა და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსის უშუალო ხელმძღვანელობით განხორციელდა

ჟინვალი-ბარისახო-შატილის საავტომობილო გზის 64-ე კილომეტრზე მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის დროს სამგზავრო მიკროავტობუსი, დაახლოებით, 80 მეტრის სიმაღლიდან კლდოვან ფერდობზე გადავარდა. მომხდარის შედეგად გარდაიცვალა 17 და მძიმედ დაშავდა 3 მოქალაქე.

ადგილზე იმყოფებოდნენ და სამაშველო ოპერაციას პირადად ხელმძღვანელობდნენ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე – იოსებ ჭელიძე და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ხელმძღვანელი – თემურ მღებრიშვილი.

შეზღუდული ხილვადობის, რთული მეტეოროლოგიური და რელიეფური პირობების მიუხედავად, სამაშველო სამუშაოები, უსაფრთხოების ნორმების სრული დაცვით, უწყვეტ რეჟიმში გვიანობამდე გაგრძელდა. ადგილზე მობილიზებულნი იყვნენ საპატრულო და კრიმინალური პოლიციის ეკიპაჟები, მეხანძრე-მაშველთა ჯგუფები და სამაშველო ტექნიკა. ასევე, ადგილზე იმყოფებოდნენ სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ბრიგადები.

მეხანძრე-მაშველებმა ხევში გადავარდნილი 3 დაშავებული მოქალაქე უსაფრთხო ადგილზე მალევე ამოიყვანეს, რის შემდეგაც სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ჯგუფებმა სამკურნალო დაწესებულებაში დაუყოვნებლივ გადაიყვანეს. ისინი ამჟამად ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებიან. შინაგან საქმეთა სამინისტრომ მომხდარ ფაქტზე გამოძიება საქართველოს სსკ-ის 276-ე მუხლით დაიწყო.

„შაქარაშვილი მოკლა იმან, ვინც მკვლელებს ხელს აფარებს, ესაა მირიან ნიკოლაძე“

რას აცხადებს ეკა წულუკიძე

– ჩემს შვილს საერთოდ არ უნახავს გიორგი შაქარაშვილი, არც იცის, რომ გიორგი შაქარაშვილი იყო ის ადამიანი, რომელიც დაიკარგა. თავიდან ეგონათ, რომ ეს იყო ამირხანაშვილი, რომელიც ჩამოიყვანეს თბილისამდე ავტომანქანით და იფიქრეს, რომ სახლამდე არ მივიდა.

ამის შესახებ გიორგი შაქარაშვილის გარდაცვალების საქმეზე ბრალდებული ნიკოლოზ რევაზიშვილის დედამ, ეკა წულუკიძემ ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა.

მისივე თქმით, გიორგი შაქარაშვილი მოკლა მან, ვინც გააყალბა საქმე თავიდან ბოლომდე და „ბავშვის მკვლელებს“ ხელს აფარებს.

– იძულებული ვართ, ოჯახი ჩავერთოთ და ვაწარმოოთ გამოძიება, რასაც არ აკეთებს თვითონ პროკურატურა. შაქარაშვილი მოკლა მან, ვინც გააყალბა საქმე თავიდან ბოლომდე, ვინც ხელს აფარებს ბავშვის მკვლელებს. მას ჩემთვის ერთი სახელი და გვარი აქვს – ეს არის მირიან ნიკოლაძე, ჰკითხეთ, საიდან დაიწყო საქმის გაყალბება, რა პოლიტიკურ ქულებს იწერს ამისთვის, ვის ატყუებს და რატომ ატყუებს.

გამოძიება არ მიმდინარეობს, არავის არ აინტერესებს, რა მოხდა. ნიკა სტუმრად იყო ბებიასთან გადასული და თავის ძველ მეგობრებთან ერთად იყო ეზოში ჩასული. რამდენი ადამიანი ეტყვით გაჭირვებულ ადამიანს დახმარებაზე უარს? სად არის მეგობრობა ან თანაგრძნობა? ვინც იჯდა მანქანაში, არჩილ გაგნიძე და მახარაძე, მათ იცნობდა, სწორედ იმიტომ წავიდა, რომ დაპირისპირებას რაიმე გაგრძელება არ მოჰყოლოდა.

ნიკას საერთოდ არც უნახავს გიორგი შაქარაშვილი, არც იცის, რომ გიორგი შაქარაშვილი იყო ის ადამიანი, რომელიც დაიკარგა. თავიდან ეგონათ, რომ იყო ამირხანაშვილი, რომელიც ჩამოიყვანეს თბილისამდე ავტომანქანით და იქნებ სახლამდე არ მივიდა. იკვეთება ინტერესი, რომ ნამდვილი მკვლელი არ დასახელდეს, ნამდვილი მკვლელი არის ის, ვინც ფარცხავს ამ საქმეს, – განაცხადა ეკა წულუკიძემ.

მირიან ნიკოლაძემ ამ განცხადებაზე კომენტარი გააკეთა.

– საერთოდ, წარმოდგენა აქვთ გამოძიებაზე? მე რა ჩიხში უნდა შევიყვანო გამოძიება, როდესაც მათ თავისი მიმართულება აქვთ.

ახლა ყველა ცდილობს, რომ არ გამოვიდნენ მკვლელები და შემდეგ ნიკოლაძეს დააბრალონ. მე ადვოკატიც არ ვარ ფუნქციით ამ საქმეში, უბრალოდ, ვახმოვანებ დედის და მამის პოზიციას, – განაცხადა მირიან ნიკოლაძემ.

პროკურატურამ შაქარაშვილის საქმეზე „ტოიოტა ქამრის“ მგზავრების – 5 პირის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა 109-ე მუხლის მეორე ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით ჩადენილი დანაშაულისთვის დაიწყო, რაც განზრახ ჯგუფურად ჩადენილ მკვლელობას გულისხმობს.

აღნიშნულ საქმეზე ბრალი ვახტანგ ჩიქოვანს, არჩილ გაგნიძეს, ნიკოლოზ რევაზიშვილს, არასრულწლოვნებს ა.ქ.-ს და ზ.ხ.-ს დაუმძიმდათ.

2 წლის ბავშვის ძიძას, ლელა ლაშქარაშვილს, პატიმრობა შეუფარდეს

სასამართლომ 2 წლის ბავშვზე ძალადობაში ბრალდებულ ძიძას, ლელა ლაშქარაშვილს, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა. გადაწყვეტილება მოსამართლე ზვიად შარაძემ გუშინ, 24 აგვისტოს, მიიღო.

ადვოკატი 5 ათას ლარიანი გირაოს შეფარდებას, პროკურატურა კი პატიმრობის გამოყენებას ითხოვდა. შესაბამისად, სასამართლომ ბრალდების მხარის შუამდგომლობა დააკმაყოფილა.

ძიძა 22 აგვისტოს დააკავეს. თავად დაკავებული თავს დამნაშავედ არ ცნობს.

პროკურორ ნათია ნოზაძის განცხადებით, თუ სასამართლო 2 წლის ბავშვის მიმართ ძალადობაში ბრალდებულს პატიმრობას არ შეუფარდებდა, არსებობდა საფრთხე, რომ ის მიმალვას და მტკიცებულებების მოპოვებაში ხელშეშლას შეეცდებოდა.

– სასამართლომ სრულად გაიზიარა ბრალდების მხარის შუამდგომლობა და ბრალდებულის მიმართ გამოიყენა ყველაზე მკაცრი ღონისძიება – პატიმრობა. გამომდინარე იქიდან, რომ არსებობდა პატიმრობის სამივე საფუძველი. კერძოდ, ის რომ თავისუფლებაში მყოფი ბრალდებული განაგრძობდა დანაშაულებრივ საქმიანობას, ასევე, მტკიცებულებათა მოპოვებაზე ხელშეშლას და კიდევ – არსებობდა მიმალვის საფრთხე, – განაცხადა ნათია ნოზაძემ.

მისივე თქმით, საქმეზე წარმოდგენილ მტკიცებულებებს გამოძიების მიმდინარეობისას მოპოვებული მტკიცებულებები დაემატება.

– მტკიცებულებებში წარმოდგენილია მოწმეთა ჩვენებები, ასევე, ვიდეო ჩანაწერები, სადაც ასახულია ძალადობის კადრები. ამავდროულად გრძელდება სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება და მოპოვებული იქნება ყველა ის მტკიცებულება, რომელიც შემხებლობაშია ამ საქმეზე, – განაცხადა ნათია ნოზაძემ.

ადვოკატი ლევან კაკაშვილი სასამართლოს გადაწყვეტილებას არ ეთანხმება და გასაჩივრებას აპირებს.

– წარმოდგენილია მტკიცებულებები, პირადად ქალბატონ ლელაზე ვიდეოფაილების სახით და მათი წერილობითი მტკიცებულებები, ვისი ინტერესიც არის, რომ ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი იყოს პატიმრობაში. დამსაქმებლის და ამჟამად მასთან დასაქმებული პირების – მოწმეების პირადი ინტერესია ჩემი დაცვის ქვეშ მყოფის პატიმრობა. რა თქმა უნდა, ჩვენ გავასაჩივრებთ აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებულ პატიმრობას, – განაცხადა ლევან კაკაშვილმა.

აჭარაში 3 დაურეგისტრირებელი სახერხი საამქრო გამოავლინეს

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, აჭარაში სამი დაურეგისტრირებელი სახერხი საამქრო გამოავლინეს. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტიდან აცნობეს. მათივე ცნობით, აჭარისა და გურიის რეგიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ხაბელაშვილებში და ხულოს მუნიციპალიტეტის სოფლებში – ბაკიბაკოსა და ჭერში ღენტური ტიპის სახერხი საამქროები გამოავლინეს. მოქალაქეებს, სახერხი საამქროები, საკარმიდამო ეზოებში ჰქონდათ მოწყობილი.

„ვინაიდან სამივე სამართალდარღვევა შეიცავს სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს, საქმის მასალები შემდგომი რეაგირების მიზნით შესაბამის უწყებებში გადაიგზავნა“ – ნათქვამია ინფორმაციაში.

11 წლის ბავშვმა თერჯოლაში თავი მოიკლა დააკავეს მისი მამა

შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ოჯახური დანაშაულის ნიშნით ჩადენილ თვითმკვლელობამდე მიყვანის ბრალდებით იმერეთში 1 პირი – 1971 წელს დაბადებული ფ.ა. დააკავეს. დანაშაული 2-დან 4 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. გამოძიებით დადგინდა, რომ თერჯოლის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ სოფელში, მიმდინარე წლის 23 აგვისტოს, საკუთარ საცხოვრებელ სახლში 2009 წელს დაბადებული ა.ა. გარდაცვლილი იპოვეს. მომხდარ ფაქტზე ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიებებით გაირკვა, რომ ბრალდებული მის არასრულწლოვან შვილზე სისტემატურად ძალადობდა, რამაც სავარაუდოდ არასრულწლოვანის თვითმკვლელობა გამოიწვია. მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება, დანიშნულია შესაბამისი ექსპერტიზები. ოჯახური ნიშნით ჩადენილ თვითმკვლელობამდე მიყვანის ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 11 პრიმა 115 მუხლის პირველი ნაწილი მიმდინარეობს.

არბი ქავთარაშვილს 11, ხოლო რამაზ ხანგოშვილს 9 წელი მიესაჯა

თელავის რაიონულმა სასამართლომ პანკისში მომხდარ დაპირისპირებაში მონაწილე არბი ქავთარაშვილს 11 წლით, ხოლო რამაზ ხანგოშვილს 9 წლით პატიმრობა მიუსაჯა. მანამდე, სასამართლო სხდომაზე ბრალდების და დაცვის მხარეები დასკვნითი სიტყვით წარდგნენ.

სასამართლო პროცესს ესწრებოდნენ ბრალდებულების ოჯახის წევრები.

ცნობისთვის, შემთხვევა 2019 წლის 27 ნოემბერს ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ საკობიანოში მოხდა. დაპირისპირების დროს 37 წლის ვისური მუთოშვილი მოკლეს, რამდენიმე პირი კი დაიჭრა.

მაიკ პომპეო: „აშშ ახლო აღმოსავლეთში ისრაელის სამხედრო უპირატესობას უზრუნველყოფს“

აშშ-ის სახელმწიფო მდივნის, მაიკ პომპეოს განცხადებით, აშშ განაგრძობს ახლო აღმოსავლეთში ისრაელის სამხედრო უპირატესობის უზრუნველყოფას მასა და არაბთა გაერთიანებულ საამიროებს შორის იარაღის მიწოდების შესახებ ნებისმიერი მომავალი ხელშეკრულების პირობებში.

– აშშ-ს ისრაელის სამხედრო უპირატესობის უზრუნველყოფის კუთხით იურიდიული ვალდებულება აქვს ნაკისრი. ჩვენ განვაგრძობთ ამ ვალდებულების პატივისცემას, – აღნიშნა აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა იერუსალიმში, ისრაელის პრემიერ-მინისტრ ბენიამინ ნეთანიაჰუსთან ერთად გამართულ პრესკონფერენციაზე.

მისივე თქმით, აშშ არაბთა გაერთიანებულ საამიროებს 20 წელზე მეტი ხნის განმავლობაში უზრუნველყოფდა სამხედრო დახმარებით, რაც ირანისგან მომდინარე საფრთხისგან დაცვას ისახავდა მიზნად და მომავალშიც აპირებს, იგივე გააკეთოს ისე, რომ ისრაელის წინაშე აღებული ვალდებულება არ დაარღვიოს.

– ჩვენ ამის განხორციელების ძლიერი ვალდებულება გვაქვს და ამას ისე გავაკეთებთ, რომ ისრაელის მიმართ ვალდებულება შევინარჩუნოთ და დარწმუნებული ვარ, რომ ამ მიზანს მიაღწევს, – განაცხადა პომპეომ.

აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ოფიციალური ვიზიტით ისრაელს ესტუმრა. ახლო აღმოსავლეთში დაგეგმილი 5-დღიანი ტურნეს ფარგლებში, ისრაელის გარდა პომპეო ესტუმრება არაბთა გაერთიანებულ საამიროებს, ბაჰრეინს, ომანს, ყატარსა და სუდანს.

ბელარუსი ლიეტუვას საჰაერო სივრცის დარღვევის მცდელობაში ადანაშაულებს

ბელარუსის თავდაცვის სამინისტრო ლიეტუვას ქვეყნის საჰაერო სივრცის დარღვევის მცდელობაში ადანაშაულებს.

ბელარუსის თავდაცვის სამინისტროს ცნობით, 23 აგვისტოს ქვეყნის სამხედრო საჰაერო და ანტისაჰაერო თავდაცვის ძალებმა ოშმიანსკის რეგიონის ვოლკოვშჩინას დასახლებაში ლიეტუვის რესპუბლიკის მხრიდან პროვოკაცია აღკვეთეს.

„მი-24“ ტიპის ვერტმფრენების ეკიპაჟის ქმედებების შედეგად, საჰაერო ბურთების გადაადგილება ცეცხლის გახსნის გარეშე აღიკვეთა“ – ნათქვამია ინფორმაციაში.

უწყების განმარტებით, ბელარუსის თავდაცვის სამინისტროში გადაიგზავნა მომხდარის ამსახველი მასალები, რომელთა საფუძველზეც ლიეტუვის მხარისთვის წარსადგენი საპროტესტო ნოტა მომზადდება.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

სამი წლის გოგონამ უღრან ტყეში ერთი დღე-ღამე გაატარა და უვნებლად გადარჩა

აშშ-ში იპოვეს სამი წლის გოგონა, რომელმაც ერთი დღე-ღამე უღრან ტყეში თავის ძაღლთან ერთად გაატარა და გადარჩა.

ვისკონსინის შტატის მკვიდრი სამი წლის ებიგეილ ლადვიგი სახლის ეზოში სეირნობდა. მან გადაწყვიტა, თავის ძაღლს, კოკერ-სპანიელს, სახელად არახისს მიჰყოლოდა, რომელიც ახლომდებარე ტყისკენ იწევდა.

იმავე საღამოს ებიგეილის მშობლებმა პოლიციაში გოგონას დაკარგვის თაობაზე განაცხადეს. ბავშვის ძებნაში სამართალდამცავებთან ადგილობრივი მცხოვრებლებიც ჩაერთვნენ. ერთი დღე-ღამის ძებნის შემდეგ გოგონა მეორე საღამოს მეზობელ ეზოში იპოვეს, სადაც მოხვედრა მან ტყიდან დამოუკიდებლად გამოსვლის შემდეგ მოახერხა.

სამძებრო-სამაშველო სამსახურის წარმომადგენლების ინფორმაციით, ებიგეილს სხეულზე მხოლოდ მცირე ნაკაწრები და მწერების ნაკბენები აღენიშნება. გოგონა გამოსაკვლევად ადგილობრივ საავადმყოფოში გადაიყვანეს.

არწივი უპილოტო საფრენ აპარატს თავს დაესხა და გაანადგურა

ამერიკის მიჩიგანის შტატში თეთრთავიანი არწივი თავს დაესხა ქვეყნის ხელისუფლების კუთვნილ უპილოტო საფრენ აპარატს და გაანადგურა.

უპილოტო საფრენი აპარატი DJI Phantom 4 Advanced მონაცემებს კარტოგრაფიისთვის ქალაქ ესკანაბის მახლობლად აგროვებდა. დრონმა დაახლოებით შვიდი წუთი იფრინა, რის შემდეგაც მასთან კავშირი შეფერხებით გაგრძელდა. ამის გამო მისმა მმართველმა პილოტმა საფრენი აპარატის მობრუნება ცადა, თუმცა შენიშნა, რომ ის უცნაურ მოძრაობებს ასრულებდა. შემდეგ დრონი ციდან გაუჩინარდა.

ადგილობრივებმა პილოტს უამბეს, რომ დაინახეს, თუ როგორ დაესხა არწივი თავს მისთვის უცხო ობიექტს. რამდენიმე დღის შემდეგ ხელისუფლებამ მონაცემები და დრონის ფრენის ტრაექტორია გააანალიზა და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მტაცებელმა ფრინველმა დრონს პროპელერი მოაგლიჯა, რის შემდეგაც უპილოტო აპარატი ტბაში ჩავარდა.

მალამო მენტორი პირველი

საუკეთესო, უნიკალური, ეფექტური, ტრადიციული გამოცდილების მქონე ბუნებრივი სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული სამკურნალო საშუალება.

მალამო მენტორი პირველი გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: რადიკულიტი, ართროზი, პოდაგრა, სახსრებში მარილების დაგროვება, სახსრების ანთება, ნიკრისის ქარი, ფრჩხილების სოკოვანი დაავადება. მკურნალობისას თანდათან მცირდება ტკივილები წელზე, სახსრებზე. მალამო უნდა შეიზილოთ მტკივნეულ ადგილებში დღეში ორჯერ.

მალამო მენტორი ხუთი

საუკეთესო, უნიკალური, ეფექტური, ტრადიციული გამოცდილების მქონე ბუნებრივი სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული სამკურნალო საშუალება.

მალამო მენტორი ხუთი გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: ქუსლების (გარქოვანება და ნახეთქები), ბუასილის კვანძების, ფსორიაზის სამკურნალოდ. მალამო გამოყენების შემდეგ ხსნის დაჭიმულობას წელიდან მუხლამდე, აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას კაპილარებში, ხსნის სიმძიმეს, წვას. მკურნალობისას ქრება ტკივილები. მალამო უნდა შეიზილოთ მტკივნეულ ადგილებში დღეში ორჯერ.

☎ 599-73-48-21; 598-73-48-21.

დიმა ჯაიანი 70 წლის გახდებოდა

თეატრისა და კინოს მსახიობი დიმა ჯაიანი 70 წლის გახდებოდა.

მისი საიუბილეო თარიღი სოხუმის თეატრმა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრომ გაიხსენეს:

– საქართველოსა და აფხაზეთის სახალხო არტისტი, სახელმწიფო, კოტე მარჯანიშვილისა და გიორგი შარვაშიძის პრემიების ლაურეატი, კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის წამყვანი მსახიობი, სამხატვრო ხელმძღვანელი და დირექტორი ათეულობით წლების განმავლობაში, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრი დიმიტრი ჯაიანი 70 წლის გახდებოდა.

პიროვნული ხიბლით გამორჩეული, ქარიზმატული, გამოკვეთილი ინდივიდუალობისა და ცხადი თვითმყოფადობის მქონე მსახიობი – ასეთი უყვარდა და ეძვირფასებოდა დიმიტრი ჯაიანი ერთგულ მაყურებელს. მის მიერ განსახიერებული საინტერესო და მრავალფეროვანი სახეებიც სოხუმსა თუ თბილისში მკვეთრი ქართული სათქმელით იყო აღბეჭდილი და ქართული თეატრის საგანძურში დარჩება მარად.

დიმიტრი ჯაიანი იყო პატრიოტული სულისკვეთებით გამსჭვალული ადამიანი, რომელიც თავის სათქმელს როგორც როლებით, ისე საზოგადოებრივი მოღვაწეობით გამოხატავდა. მთელი მისი შემოქმედებითი ცხოვრება მხოლოდ სოხუმის თეატრს უკავშირდებოდა, რაც ძალიან ეამაყებოდა. სცენიდან ხშირად აცხადებდა კიდეც, რომ მას სოხუმის თეატრის გარდა, სხვაგან არსად უმუშავია. სოხუმის თეატრის დევნილობაში ფეხზე დაყენებისა და მისი წინამძღვრობის მისიაც, იმ უმძიმეს პერიოდში, განგებამ მასვე დააკისრა.

ცალკე უნდა აღინიშნოს დიმიტრი ჯაიანის როგორც აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრის როლი. ამ თანამდებობაზე ყოფნისას განსაკუთრებულად გამოიკვეთა მისი მენეჯერული ნიჭიც. მან მნიშვნელოვანი სიტყვა თქვა სამინისტროს განახლებისა და აღორძინების გზაზე და თავისებური ხიბლი შესძინა აფხაზეთიდან დევნილი კულტურული კოლექტივებისა და ხელოვანების შემოქმედებით საქმიანობას.

მასზე კიდევ ძალიან ბევრის თქმა შეიძლება, თუმცა ისედაც ბევრს ამბობს მის მიერ განვლილი ცხოვრება.

აფხაზეთიდან დევნილი საზოგადოება, რაც დრო გადის, დიმიტრი ჯაიანს მით უფრო მეტად ისაკლისებს.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

მამაკაცი ძაღლის გადასარჩენად ალმოდებულ სახლში შევარდა

ამერიკის კალიფორნიის შტატში მამაკაცი ალმოდებულ სახლში ძაღლის გადასარჩენად შევარდა. ამის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა ადგილობრივმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

ხოსე გუსმანი ოჯახთან ერთად პაპა-ბებიასთან სტუმრად იმყოფებოდა, როდესაც შეიტყო, რომ მათ სახლს ცეცხლი გაუჩნდა. ამერიკელი დაუყოვნებლივ გაიქცა თავისი ძაღლის, სახელად გაბანის გადასარჩენად.

მეხანძრეები ცეცხლის ჩაქრობას ცდილობდნენ, როდესაც გუსმანმა საკუთარ სახლთან ყვირილით: „იქ ჩემი ძაღლია!“ მიირბინა. მან ყური არ ათხოვა მეხანძრეების გაფრთხილებას, სახლის უკანა ეზოში შეაღწია და აღმოაჩინა, რომ გაბანის ბუდრუგანა მთლიანად იყო დამწვარი. მან საყვარელ ცხოველს ვერსად მიაგნო და ალმოდებულ სახლში შევარდა, იქ კი აღმოაჩინა, რომ ძაღლს თავი სააბაზანო ოთახისთვის შეეფარებინა, ერთადერთი ადგილისთვის, რომელსაც ცეცხლის ალი არ მისწვდომოდა.

გუსმანის ერთ-ერთი ნათესავის მიერ გადაღებულ ვიდეოზე ჩანს, თუ როგორ გამორბის ალმოდებული სახლიდან ძაღლი და მას უკან მოჰყვება პატრონი. გუსმანმა სახესა და ხელებზე მიიღო დამწვრობა, ხოლო მისმა ძაღლმა – ცხვირსა და თათებზე.

პატარძალმა დედა საზეიმო სიტყვის შემდეგ ქორწილიდან გააგდო

პატარძალმა საქორწინო მისალოცი სიტყვის წარმოთქმის დროს საკუთარ დედას მიკროფონი წაართვა და საქორწინო ცერემონიიდან გააგდო. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, გოგონა თავიდანვე არ იყო დარწმუნებული, მიეცა თუ არა დედისთვის საზეიმო სიტყვით გამოსვლის უფლება, მათი დაძაბული ურთიერთობიდან გამომდინარე, თუმცა მან გაიხსენა, რომ დის ქორწილმა მშვიდად და უხმაუროდ ჩაიარა და ამიტომ გადაწყვიტა, დედისთვის შანსი მიეცა.

დასაწყისში ქალი ხუმრობდა და სიძისა და პატარძლის მისამართით სასიამოვნო სიტყვებს წარმოთქვამდა, თუმცა შემდეგ ქალიშვილის ბავშვობიდან არასასიამოვნო ეპიზოდების გახსენება დაიწყო და მას „გაფუჭებული ნაძირალა“ უწოდა. პატარძალმა ვეღარ მოითმინა, დედას მიკროფონი წაართვა და გააგდო.

მოგვიანებით მან კონფლიქტი სოციალურ ქსელში აღწერა და ინტერნეტმომხმარებლებს კითხვა დაუსვა, სწორად მოიქცა თუ არა ამ შემთხვევაში. უმრავლესობამ საკუთარ კომენტარებში ის გაამართლა.

მოჩხუბარმა ბიზონებმა საავტომობილო გზა გადაკეტეს

ამერიკის ვაიომინგის შტატში მდებარე იელოუსტოუნის ეროვნულ პარკში ორი მამრი ბიზონი ერთმანეთს საავტომობილო გზაზე დაუპირისპირდა და ამის გამო გზაზე მოძრაობა შეფერხდა.

ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეო პარკის ხელმძღვანელობამ ტვიტერში გამოაქვეყნა. მასში ჩანს, თუ როგორ ერკინება ერთმანეთს საავტომობილო გზაზე ორი ბიზონი, რის გამოც ავტომობილები მოძრაობის გაგრძელებას ვერ ახერხებენ. საბოლოოდ ერთმა ბიზონმა მეორის დამარცხება და გზიდან გადაყვანა მოახერხა.

– იელოუსტოუნის ეროვნულ პარკში ბიზონების მყვირალობის პერიოდი გრძელდება. ისინი, მამრები, ახლა განსაკუთრებულად აგრესიულები არიან, თუმცა ყველა ბიზონი და სხვა ცხოველებიც, შესაძლოა, სახიფათონი იყვნენ. ჩვენი რჩევაა, რომ ყოველთვის დაიცვათ მინიმუმ 20-მეტრიანი დისტანცია ბიზონებისა და ცხენირმებისგან და 100 მეტრზე მეტი მანძილი – სხვა გარეული ცხოველებისგან, – ნათქვამია ვიდეოს თანდართულ კომენტარში.

წყურვილმა ქალს ნახევარი მილიონი დოლარი მოუტანა

ამერიკის ქალაქ ვირჯინია-ბიჩის მცხოვრები ქალბატონი ამტკიცებს, რომ ლატარიაში ჯეკპოტი წყურვილის წყალობით მოხსნა.

სტეფანი ბლანკომ განაცხადა, რომ პლაჟიდან დაბრუნების შემდეგ საკუთარი მანქანა დაალაგა, დაასუფთავა და ამის შემდეგ გადაწყვიტა წყურვილის გრძნობა გამაგრილებელი ენერგეტიკული სასმელით მოეკლა. მაღაზიაში გამაგრილებელ სასმელთან ერთად ქალმა მომენტალური ლატარიის ბილეთიც შეიძინა.

ლატარიის ბილეთმა ბლანკოს გათამაშების მთავარი პრიზი – ნახევარი მილიონი დოლარი მოუტანა. მოგებული თანხით ქალი სახლის ყიდვას და ოჯახის დახმარებას აპირებს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ბაიერნი ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებულია

პსჟ-ბაიერნი 0:1
ლისაბონი. ეშტადიო და ლუჟი
0:1 ჯომანი (59)

პსჟ: ნავასი, კერერი, ტ.სილვა, კიმპემბე, ბერრატი (კურზავა 80), პარედესი (ვერატი 65), მარკინიოსი, ერერა (დრაქსლერი 72), დი მარია (ჩუპო-მოტინგი 80), ნეიმარი, მბაპე

ბაიერნი: ნოიერი, კიმიხი, ბოატენგი (ზულე 25), ალაბა, დევისი, გორეტცკა, ალკანტარა (ტოლისო 86), გნაბრი (კოუტინიო 68), მიულერი, კომანი (პერიშიჩი 68), ლევანდოვსკი

პარი სენ-ჟერმენი პირველად გავიდა ევროპის ყველაზე პრესტიჟული ტურნირის ფინალში და პირველივე ცდაზე მოინდომა მისი მოგება. ამას კი უფრო გამოცდილი გუნდები არ დაუშვებენ. ევროტურნირებზე ჭიპმოჭრილმა მიუნხენის ბაიერნმა ფავორიტის სტატუსი გაამართლა, გამოცდილება მომენტების რეალიზებაში უკეთ გამოიყენა და ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული გახდა.

პირველი ტაიმი მეტ-ნაკლებად თანაბარი გამოვიდა. მართალია, ბაიერნი უკეთ აკონტროლებდა ბურთს, მაგრამ უფრო მწვავე მომენტები მათ კართან იქმნებოდა. ერთია, პარიზელები რეალიზაციაში მოიკოჭლებდნენ. ამასთან, შესანიშნავად ირჯებოდა მანუელ ნოიერი.

შესვენების შემდეგ კი თანაბარ ბრძოლაზე საუბარიც აღარ იყო. ბავარიელებმა კიდევ უფრო მოუმატეს ბურთის ფლობას, მეტოქეს უფრო მაღლა შესთავაზეს პრესინგი და ფრანგულ გუნდს საკუთარი ნახევრიდან გადასვლა უჭირდა. ტომას ტუხელის გუნდს ანტრაქტის შემდეგ, ფაქტობრივად, არ შეუტევია.

მოკლედ, ბაიერნი უკეთესი იყო, მშვიდად ელოდებოდა ფრანგების შეცდომას და ეს მომენტიც დადგა. გოლი კინგსლი კომანმა გაიტანა, რომელიც სწორედ პსჟ-ს აღზრდილია. ცოტა ირონიულიც კი გამოვიდა.

გატანილი გოლის შემდეგ ბაიერნმა საკუთარი თამაში გააგრძელა. ბოლოსკენ პსჟ-მ თითქოს გარისკა შეტევებში წასვლა, მაგრამ ამაოდ – მიუნხენელების გატეხვა ვერ მოახერხა.

ბაიერნმა დამსახურებულად მოიგო, მეექვსედ დაეუფლა ჩემპიონთა ლიგის თასს და ამ მაჩვენებლით ლივერპულს გაუთანაბრდა. ახლა მათზე წინ მხოლოდ მადრიდის რეალი და მილანია.

ბაიერნი პირველი გუნდი გახდა, რომელმაც ჩემპიონთა ლიგაზე ისე გაიმარჯვა, რომ ტურნირზე ჩატარებული ყველა მატჩი მოიგო (11-დან 11).

ბაიერნი მე-2 გუნდია, რომელმაც სეზონი ტრებლით 2-ჯერ დაასრულა (2013, 2020). მანამდე ეს მხოლოდ ბარსელონას ჰქონდა გაკეთებული (2009, 2015).

რობერტ ლევანდოვსკი ჩემპიონთა ლიგის საუკეთესო ბომბარდირი გახდა. ის პირველი ფეხბურთელია კაკას (2006-07) შემდეგ, რომელმაც ამ ტურნირზე ერთ სეზონში, როგორც კრიშტიანუ რონალდუზე, ისე ლიონელ მესიზე მეტი გოლი გაიტანა.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – მანუელ ნოიერი

იყო მომენტები, როდესაც პსჟ-ს გოლის გატანა შეეძლო, მაგრამ ასეთ ეპიზოდებში ნოიერმა გადამწყვეტი როლი ითამაშა. მანუ ჩინებულად გაისარჯა და რამდენჯერმე იხსნა გუნდი აშკარა გოლისგან.

ჰანს-დიტერ ფლიკი:

– თამაში სწრაფ ტემპში მიმდინარეობდა, შანსი ორივე გუნდს ჰქონდა. მსოფლიოს საუკეთესო მეკარე გვყავს, რომელმაც რამდენჯერმე გადაგვარჩინა. ბევრი კითხულობდა, თუ როგორ დავიცავდით თავს პარიზელთა შესანიშნავი თავდამსხმელებისაგან. ამ მხრივ ძალიან კარგად ვიმუშავეთ. გუნდმა საქმისადმი სწორი დამოკიდებულება აჩვენა. ამის ყურება სასიამოვნო იყო. შესაძლოა, ამ სეზონში კომანი ბოლოს და ბოლოს რიბერისა და რობენის ჩრდილიდან გამოვიდა. არაჩვეულებრივი ნიჭის პატრონია და დღეს გოლიც გაიტანა. მე არ მითქვამს, ზეიმი როდის უნდა დავასრულოთ. გამარჯვების შემდეგ უნდა იზეიმო. საღამოს გამართვაა საჭირო და ვერ გეტყვით, ეს ყველაფერი როდის დასრულდება.

ტომას ტუხელი:

– ჩვენ ბოლომდე დავიხარჯეთ. გული და ყველაფერი დანარჩენი მოედანზე დავტოვეთ. ეს ფინალში მოსალოდნელია. შედეგის კონტროლირება არ შეგვიძლია. თავიდანვე ვიფიქრე, რომ პირველი გოლი შეიძლებოდა გადამწყვეტი ყოფილიყო. 2 ძალიან ძლიერ გუნდს შორის სხვაობა ერთგოლიანი იყო. ვამაყობ ჩვენი მენტალიტეტით და რამდენიმე უკანასკნელი მატჩით. ეს მაქსიმუმია, რაც შეიძლება მწვრთნელმა მოითხოვოს. დიახ, იმედგაცრუებული ვარ, თუმცა ძალიან არა. პირველი გოლი დაგვაკლდა. მომენტები გვქონდა, გოლი კი მათ გაიტანეს. დარწმუნებული ვარ, პირველი გოლის გატანის შემთხვევაში 1:0-ს მოვიგებდით. საკმარისად ცივსისხლიანები არ ვიყავით. გვინდა მბაპემ და ნეიმარმა ყოველთვის გაიტანონ, მაგრამ ამის მოთხოვნა არ შეიძლება.

კვარაცხელია რომ ხორვატი ყოფილიყო, 25 მილიონი ეღირებოდა

ხვიჩა კვარაცხელია რუსეთში დიდი პოპულარობით სარგებლობს. ამჟამად ყაზანის რუბინის ფეხბურთელია, მანამდე მოსკოვის ლოკომოტივში იყო და გუნდში არ დაიტოვეს. გუნდის ყოფილი მწვრთნელი იური სიომინი და გულშემატკივრები წელიწადზე მეტია ხელმძღვანელობის ლანძღვაში არიან. ლოკომოტივის ყოფილმა სკაუტმა ვიქტორ ტიშჩენკომ კვარაცხელიასა და იმ მოვლენების შესახებ ისაუბრა, რის გამოც ქართველი რკინიგზული გუნდიდან წავიდა. ტიშჩენკო იხსენებს, რომ კლუბში სათანადოდ არ დააფასეს და ეგონათ, რომ ჩვეულებრივი ახალგაზრდა ფეხბურთელი იყო. ტიშჩენკოს კვარაცხელიას ნიჭიერების დასტურად ვედრან ჩორლუკას სიტყვებიც მოჰყავს, რომელსაც უთქვამს, რომ ხორვატიაში ხვიჩას ღირებულება 25 მილიონი ევრო იქნებოდა.

სხვათა შორის, ჩორლუკას ნათქვამი დასაფიქრებელი საკითხია.

– როგორ აღმოაჩინეთ კვარაცხელია?

– საქართველოს ახალგაზრდულ და იუნიორთა ნაკრებებს გადავხედე და ვნახე, რომ ხვიჩა 17, 19 და 21 წლამდე ნაკრებებში თამაშობდა და ყველგან საუკეთესო იყო. თავდასხმაში სწრაფი, მწვავე და შეტევას ყოველთვის ის აგრძელებდა. დღესდღეობით იშვიათია, რომ ვინმე ასე გაბედულად თამაშობდეს. მას არ ეშინოდა, ყოველთვის გამწვავებაზე მიდიოდა და უპირატესობას ქმნიდა. პირველად რომ ვნახე, გავაკეთე დასკვნა, რომ ჩვენთვის შესაფერისია და თამაშამდე სიომინს ვუთხარი – 17 წლის ბიჭია, ის უნდა ავიყვანოთო, რაც მალე, უკეთესია. შეუძლია ყველაფერი გააკეთოს... 17 წლის? რა? გაგიჟდი? არა – მიპასუხა მან. თუმცა, თამაშის შემდეგ მაინც მოვიდა ჩემთან და მითხრა – მართლა ასეთი კარგია? როდესაც თანხმობა ვუთხარი, მაშინვე საქართველოში წასვლა მთხოვა, რომ არ შევმცდარიყავი. რუსთავში წავედი ხვიჩას თამაშის სანახავად და თავიდანვე 2 სახიფათო მომენტი შექმნა, მაგრამ პირველი ტაიმის შუაში ტრავმა მიიღო. ვიფიქრე, რომ ამაოდ მივედი, რადგან შესვენების დაწყებამდე მისგან არანაირი აქტიურობა აღარ ჩანდა, ძლივს დადიოდა. მე-2 ტაიმში გოლი მისი პასით გაიტანეს, თავად არ გაუტანია, მაგრამ მისი მიზანმიმართული ქმედებები მომეწონა.

– შემდეგ რა მოხდა?

– თამაშის შემდეგ ხვიჩას მეგობრებმა რუსთავის გასახდელში შემიყვანეს, რომ მენახა მისი დაზიანება. შევედი და ის ექიმის გვერდით იჯდა, კოჭი ისე ჰქონდა გადიდებული, ვერ წარმომედგინა, ბუცებში როგორ ჩაატია ფეხი. ახალი დასკვნა გავაკეთე – ის მებრძოლია. რაც უფრო სერიოზული თამაშია, უფრო მეტად მობილიზებულია. თავდაპირველად ლოკომოტივში უფასოდ გადავიდა, ხელფასსაც კი აგენტი უხდიდა. შემდეგ მათ სურდათ იმავე პირობებით კიდევ 1 წელი დაეტოვებინათ. თუმცა, იმ შემთხვევაში, თუ ისევ სიომინთან იმუშავებდა, მაგრამ ახალმა ხელმძღვანელობამ, როგორც ჩანს, სხვანაირად, ცუდად იფიქრა და აგენტი ლოსიუკი მიუგზავნეს, რომელმაც შესთავაზა კონტრაქტზე ხელი აგენტებისა და სიომინის ფარულად მოეწერა. ამაზე ხვიჩამ უარი თქვა და ლოსიუკმა პირდაპირ კარისკენ მიუთითა – მაშინ აიღე ჩანთა და დილით აქ არ დაგინახოო. კლუბში ფიქრობდნენ, რომ აკადემიაში ბევრი ასეთი ფეხბურთელი ჰყავდათ. მაგრამ, ასეთი არავინ იყო და არამხოლოდ ლოკომოტივში. ვლადიმერ გუცაევმა საუბრისას მითხრა – საქართველოში 40 წლის განმავლობაში ასეთი ნიჭიერი არ დაბადებულა.

– რატომ შესთავაზეს ხვიჩას ახალი კონტრაქტი აგენტებისგან ფარულად?

– მენეჯმენტმა ეს იმით ახსნა, რომ აგენტებმა სოლიდური თანხა მოითხოვეს, მაგრამ ასე არაა. ისინი არაფერს ითხოვდნენ, მათი მჯერა. მათ უბრალოდ სურდათ ერთი სეზონით კლუბში დარჩენილიყო იგივე პირობებით: თუ ითამაშებდა და მიიღებდა ნორმალურ ხელფასს. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დეტალი: როდესაც ხვიჩა პირველად გამოჩნდა, ვედრან ჩორლუკამ, რომელიც ინგლისსა და გერმანიაში თამაშობდა, ასეთი რამ თქვა – ხორვატიაში მისი ფასი 25 მილიონი ევრო იქნებოდა. მთავარია, რომ გამოცდილი ფეხბურთელები გრძნობდნენ მის ნიჭს და ენდობოდნენ, ბურთს დროულად აწვდიდნენ და არ უგულებელყოფდნენ.

შეგახსენებთ, ხვიჩა კვარაცხელიამ ლოკომოტივში 2019 წელს 10 მატჩი ჩაატარა და 1 გოლი გაიტანა. ზემოთ ნახსენები ფაქტების შემდეგ კი, ყაზანის რუბინში აღმოჩნდა, რომელთანაც 5-წლიანი კონტრაქტი გააფორმა და გასულ სეზონში რუსეთის პრემიერლიგის საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელად დასახელდა.

უეფას რვათა ფინალი მოეწონა

დასრულდა ევროსეზონი – ჩემპიონთა ლიგამ და ევროპის ლიგამ მორიგი გამარჯვებული ჩაწერეს ისტორიაში. თუმცა, სეზონი გვიან დასრულდა, გვიან და ახლებურად. კორონავირუსის პანდემიის გამო უეფას ევროტურნირების დასრულება შემჭიდროვებული ფორმატით მოუწია. ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალებს პორტუგალიის დედაქალაქმა ლისაბონმა უმასპინძლა და ევროპის ყველაზე პრესტიჟული ტურნირის მიუნხენის ბაიერნმა მოიგო, ხოლო ევროპალიგის დასკვნითი შეხვედრები გერმანიის ოთხ ქალაქში (გელზენკირხენი, კიოლნი, დიუსელდორფი და დუისბურგი) ერთ წრედ ჩატარდა და გამარჯვებული ესპანური სევილია გახდა. უეფას ახალი ფორმატი მოეწონა და არ არის გამორიცხული, რომ „რვათა ფინალები“, სამომავლოდაც შენარჩუნდეს. ამის შესახებ ევროპის საფეხბურთო მმართველი ორგანოს პრეზიდენტმა ალეკსანდერ ჩეფერინმა ისაუბრა:

– გამოგიტყდებით, ერთთამაშიანი ფორმატი გაცილებით საინტერესოდ გამოჩნდა, ვიდრე – ორმატჩიანი დაპირისპირებები. „რვათა ფინალი“, ალბათ, ყველაზე საინტერესო რამაა, რაც პანდემიამ მოიტანა. არადა, იძულებულნი ვიყავით, ასე გვეთამაშა, მაგრამ მშვენიერი პროექტი მივიღეთ. ჩემპიონთა ლიგისა თუ ევროპალიგის ერთ კონკრეტულ მატჩში, შესაძლოა, ნებისმიერი შედეგი დაფიქსირდეს, ამდენად, ქომაგებმა უფრო მიმზიდველი თამაშები მიიღეს.

ბევრი მწერს და ფორმატის შენარჩუნებას მთხოვს. კვირის განმავლობაში შეჯიბრი მთელი მსოფლიოს ყურადღების ცენტრშია. ეს ფანტასტიკური რამაა. სწორედ ამიტომ ამაზე უნდა ვიფიქროთ და გარკვეულ გადაწყვეტილებას, ალბათ, სექტემბერ-ოქტომბერში მივიღებთ.

შედეგები

23 აგვისტო

ფეხბურთი

უეფას ჩემპიონთა ლიგა
ფინალი

პსჟ-ბაიერნი 0:1

ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი
ფლეი ოფი

ხირონა-ელჩე 0:1

საფრანგეთი. ლიგა 1

მონაკო-რეიმსი 2:2
ლორიანი-სტრასბური 3:1
ნიმი-ბრესტი 4:0
ნიცა-ლანსი 2:1

ჩეხეთი. 1 ლიგა

ჩესკე-სლავია 0:6
კარვინა-ბანიკი 0:0
იაბლონეცი-პარდუბიცე 1:0
ბოჰემიანსი1905-ლიბერეცი 4:0

ჩეხეთი. ჰემეიჩლიგა

უფა-როსტოვი 0:1
სპარტაკი-ლოკომოტივი 2:1

ბელგია. ა დივიზიონი

სტანდარდი-გენკი 0:0
ბრიუგე-ბეერსხოტი 0:1
ანდერლეხტი-მუსკრონი 1:1

შოტლანდია. ჰემეიჩლიგა

აბერდინი-ლივინგსტონი 2:1
სტ.ჯონსონი-ჰიბერნიანი 0:1

ჩეხეთი. 1 ლიგა

ჩესკე-სლავია 0:6
კარვინა-ბანიკი 0:0
იაბლონეცი-პარდუბიცე 1:0
ბოჰემიანსი1905-ლიბერეცი 4:0

პოლონეთი. ექსტრაკლასა

პლოცკი-მელეცი 1:1
ვარტა-ლეხია 0:1
გურნიკი-პოდბესკიჟიე 4:2

უკრაინა. ჰემეიჩლიგა

ინგლეცი-დნიპრო 1:1
ვორსკლა-ლვოვი 5:2

შვედეთი. ალსვენსკა

მალმიო-ფალკენბერგი 2:1
ელფსბორგი-ესტერსუნდი 0:1
აიკი-ჰელსიმბორგი 2:0
ვარბერგი-იორებრო 2:1

ფინეთი. ვეიკაუსლიგა

ჰიფკი-ჰაკა 0:1

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

სამგლოვიარო განცხადებები

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის, ფინანსთა და დარგობრივი ეკონომიკის სამინისტრო ღრმა მწუხარებით იუწყება, თანამშრომლის, ნანა გერგედავას დედის, ჭეშმარიტი პატრიოტის, ომის ვეტერანის, შაოსან დედათა კომიტეტის წევრის, საზოგადოებრივი აქტივობით გამორჩეული, თამარ მეფის ორდენის კავალერის

ნაირა კალანდიას

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახის წევრებსა და ახლო ნათესავებს.

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ჯოსვოიდი ბ



შვეულად: 1. კინოსა და თეატრის ქართველი მსახიობი მამაკაცი თბილისის საპატიო მოქალაქე; 2. უბანი თბილისში; 3. რაიმეს აგებულება, აღნაგობა, წყობა; 4. ავტონომიური ოლქი ჩეხეთში; 5. ყალბი და საეჭვო დებულებების მტკიცება სხვადასხვა ხერხითა და ხრიკებით; 10. მილიონის ძველი ქართული სახელწოდება; 11. სპორტული ნაგებობა; 12. სამყარო, როგორც მთლიანობა; 16. ნახევარკუნძული აშშ-ში; 16. ლეონ კავალოს ოპერა; 17. სამღებროების რიგი ძველ თბილისში; 19. სოფოკლეს ტრაგედია; 21. ხეობა სტეფანწმინდის რაიონში; 23. სასარგებლო წიაღისეულის მომპოვებელი საწარმო.

თარაზულად: 6. ციტრუსების მყნობისთვის გამოყენებული სამყურა ლიმონი; 7. სოფელი საჩხერის რაიონში; 8. ფრანგული სამოდელო ფირმა; 9. ტროას ომის გმირი; 14. დაქირავებული ტაშის დამკვრელი კონცერტზე, თეატრალურ წარმოდგენაზე; 15. პირსახისა და სხეულის კანის მოვლა-გალამაზება; 18. ქართველი უფოლოგი; 20. ბაღი ძველ ათენში, სადაც განთავსებული იყო არისტოტელეს ფილოსოფიური სკოლა; 22. ჰიდროტექნიკური ნაგებობა მდინარეზე; 24. მარცვლეულის დამხარისხებელი მანქანა; 25. ცოცხალი ორგანიზმის რეაქცია გარეგან გაღიზიანებაზე; 26. მუნჯი კინოს ამერიკელი კომიკოსი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. დაკა; 2. პოლკა; 3. გუაში; 5. ბელუჩი; 6. ლაზარეთი; 9. ლოსაბერიძე; 10. მირანგულა; 11. დილიჟანსი; 14. შოუ; 16. ზენიტი; 18. წათე.

თარაზულად: 1. დნეპრი; 4. იმბეცილი; 7. ძელქვა; 8. შერბური; 12. ასაჰი; 13. უშქარი; 15. ბაგეტი; 17. ერი; 19. მანსანარესი; 20. გენია; 21. ჰერეთი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ბახმარო; 2. ცერცვაძე; 3. მზეჭაბუკი; 4. მორთული; 5. ნიშნიანიძე; 10. ბედეგი; 11. სერფინგი; 12. ხარფუხი; 13. დიონისე; 16. საკრებულო; 17. ქობულეთი; 19. ალბანეთი; 21. გრენა; 23. რკალი.

თარაზულად: 6. მარსელიოზა; 7. როლექსი; 8. საცივი; 9. პაპირუსი; 14. პირსინგი; 15. შერვაშიძე; 18. მაგმა; 20. კორსიკა; 22. ვერმუტი; 24. პრემია; 25. მუკუზანი; 26. სალათი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

25 აგვისტო

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.0737

ევრო — 3.6257

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.0388

100 რუსული რუბლი — 4.1282

ამინდის პროგნოზი 25 აგვისტოსათვის

ოთო ნემსაძემ ალბომზე მუშაობა დაასრულა

მომღერალმა ოთო ნემსაძემ სამწლიანი მუშაობის შემდეგ თავის ალბომზე მუშაობა დაასრულა. ეს სასიხარულო ინფორმაცია მომღერალმა საზოგადოებას სოციალური ქსელით ამცნო:

– ძალიან კარგი ამბავი მინდა გამცნოთ – როგორც იქნა, დავასრულეთ 3-წლიანი მუშაობა ალბომზე მე და უმაგრესმა ლიმბო მიუზიქმა. დავგეგმეთ რადიო „არდაიდარდო“-ში 2 სიმღერის პრეზენტაცია და გპირდებით, რომ თავს მოგაბეზრებთ უამრავი ახალი სიმღერით.

პანდემიები გადაივლიან და უამრავ ლაივ კონცერტს გპირდებით ბევრი ენერგეტიკით მთელი საქართველოს მასშტაბით. ალბომი მთლიანად პოპ როკ ჟანრითაა დაკომპლექტებული და უბედნიერესი ვარ გაცნობოთ, რომ მალე უამრავი ვიდეორგოლი და თავბრუდამხვევი კონცერტი გელოდებათ.

ყველას უდიდესი მადლობა ჩვენს გვერდში დგომისთვის და ვრცლად ალბომის პრეზენტაციისთვის გადაგიხდით მადლობას.

დავით მაზანაშვილმა ქართველი კომპოზიტორების ნაწარმოებები ჯაზურ კომპოზიციებად აქცია



მუსიკოსმა დავით მაზანაშვილმა ცნობილი ქართველი კლასიკოსი კომპოზიტორების ნაწარმოებები ჯაზურ კომპოზიციებად აქცია. 13 სექტემბერს მზიურის პარკში შეკრებილ მსმენელს შესთავაზებს ქართველი კლასიკოსების ნაწარმოებების ჯაზურ ვარიაციებს ჯაზტრიოსა და სიმებიანი კვარტეტის შესრულებით.

ამფითეატრის სცენაზე მსმენელის წინაშე წარდგებიან ჯაზტრიო დრამერ გია სალაღიშვილის, ბასისტ დავით მასტერანოვის და პიანისტ დავით მაზანაშვილის შემადგენლობით. ასევე დაუკრავს სიმებიანი კვარტეტი მევიოლინეების მარიამ დათუაშვილისა და თამარ მაღალაშვილის, ალტის ნინო ჭელიძისა და ჩელისტ მაია მაზანაშვილის შემადგენლობით.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

პოლიციელმა კარადაში საბუთის ძებნაში გველის წიწილები აღმოაჩინა

ინდოეთის ხიმაჩალ-პრადეშის შტატის ქალაქ კანგრაში პოლიციელმა საკუთარი კაბინეტის კარადაში 21 ცალი კობრას ნაშიერი აღმოაჩინა. სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელი კარადაში მისთვის საჭირო შეკვრას ეძებდა, რომელშიც საჭირო საბუთი ინახებოდა და ამ დროს გველი შენიშნა. აღმოჩნდა, რომ ეს კობრას ნაშიერი იყო. ამას პოლიციის განყოფილებაში პანიკა მოჰყვა.

მამაკაცს შეეშინდა და გველებზე მონადირე გამოიძახა. ადგილზე მისულ სპეციალისტს ერთიმეორის მიყოლებით ამოჰყავდა კარადიდან გველის წიწილები. მან 21-ვე პატარა კობრა ქოთანში მოათავსა და თავი დაუცვა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

25 აგვისტოსათვის

ვერძი – ფუჭი საუბრები, არასაჭირო ურთიერთობები უსიამოვნებას შეგამთხვევთ. კრიტიკული დღეა. საყიდლებზე წასასვლელად სხვა დრო შეარჩიეთ. **კურო** – ფინანსებს გაუფრთხილდით. ფული ეკონომიურად ხარჯეთ. გარისკვა გაუმართლებელია. **ტყუპები** – მიღებულ შემოთავაზებას უყურადღებოდ ნუ დატოვებთ. მეგობრებთან ურთიერთობა გაგახალისებთ. **კირჩხიბი** – ოცნება აგისრულდებათ. საქმიანი შეხვედრები სასურველ შედეგს არ გამოიღებს. **ლომი** – დღის ნეგატიურ ტენდენციებს თქვენი სითამამე და აქტიურობა გააქარწყლებს. ერიდეთ კონფლიქტს კოლეგებთან. **ქალწული** – ემოციები აკონტროლეთ. მოთმინება და თავშეკავება უსიამოვნებას თავიდან აგაცილებთ. **სასწორი** – კეთილისმყოფელი დღეა სოციალური კონტაქტებისათვის. პირად ცხოვრებაში ურთიერთსაწინააღმდეგო ტენდენციები ჭარბობს. **ღრიანკალი** – საქმიანი ურთიერთობები არ გაამართლებს. გუნება-განწყობა ხშირად გეცვლებათ. **მშვილდოსანი** – კომერციულ სფეროში არ იაქტიუროთ. კარგი იქნება დასვენება და გართობა უახლოესი მეგობრების წრეში. **თხის რქა** – ახალგაცნობილ ადამიანებთან ურთიერთობისას იფრთხილეთ. ამბიციურობა და კატეგორიულობა დღეს დაგაზარალებთ. **შერწყული** – ცდუნებას ნუ აჰყვებით. ზომიერება დაიცავით ნებისმიერი საქმიანობისას. სერიოზულ გადაწყვეტილებებს ნუ მიიღებთ. **თევზები** – რეალობა ადეკვატურად მიიღეთ. ილუზიებისაგან საჩქაროდ გათავისუფლდით. ჯანმრთელობას მეტი ყურადღებით მოეკიდეთ.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

●●●

ქალი ქალაქში ბაზარში წავიდა და ქმარს მოსავლელად წიწილები ჩააბარა. უკან დაბრუნებულს ოცი წიწილიდან ათი დახვდა. ქალი ეცა ქმარს და ეკითხება:

– რა არის ეს? ოცი წიწილა დაგიტოვე და ათი დამახვედრე...

– ქალო, სა..ა..ნამ მე ჰაა...უუუ... ქო..რო დაა..ვუ..ძა..ხე, იმ ოო..ხეე..რმა.. მეე..ოო..თხე რე..ი..სი შეასრულა, – უპასუხა ენაბლუ ქმარმა.

●●●

ფეხსაცმლის მაღაზიაში კაცი ფეხსაცმელს იზომავს, აიღო 43 ზომა, დიდი მოუვიდა, გაისინჯა 42, ისიც დიდი აქვს. არც 41 და 40 ზომა მოერგო ფეხზე, ბოლოს გამყიდველი ეუბნება:

– თუ ჩლიქებზე დგახარ, გეთქვა და სამჭედლოში გადაგიყვანდი...

●●●

ექიმი მამაკაცს ეკითხება:

– რა გაწუხებთ?

– ქალები არ მაძლევენ...

ექიმი მედდას მიუბრუნდა და ეუბნება:

– პაციენტს წყალი მიეცი.

– არ მივცემ!

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– როგორი კაცი გამოდგა შენი ახალი მეზობელი?

– ისეთი უბედურია, ხელი რომ ჩამოგართვას, თითები უნდა დათვალო, რომელიმე ხომ არ აგწაპნა.

●●●

მეგობრები ერთმანეთს ეტრაბახებიან. ერთი ამბობს:

– ჩემი ცოლი ანტალიაში ისვენებს.

მეორე:

– ჩემი კანარის კუნძულებზე.

მესამე:

– ჩემ ცოლი არსად წასულა, მე თვითონ ვხმარობ.

●●●

ქალი ექიმს შეწუხებული სახით ეუბნება:

– ექიმო, ცუდად ვარ და მიშველე რამე.

– გაიხადეთ და ტახტზე დაწექით.

– მაგის დროა ახლა ექიმო? ცუდად ვარ– მეთქი!

●●●

ცოლი ქმარს საყვედურობს:

– რომ მცოდნოდა ასეთი ღარიბი იყავი, ცოლად არ გამოგყვებოდი.

– კი მაგრამ, სულ იმას არ გეუბნებოდი, ჩემი ერთადერთი სიმდიდრე შენ ხარ-მეთქი...

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ტიაგო სილვა კარიერას ჩელსიში გააგრძელებს

პსჟ-ს ბრაზილიელი ცენტრალური მცველი ტიაგო სილვა კარიერას ჩელსიში გააგრძელებს. ამის შესახებ ცნობილი ფინალის შემდეგ გახდა, რომელშიც პსჟ ბაიერნთან 0:1 დამარცხდა. ტიაგო სილვა პსჟ-ს ღირსებას საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე იცავდა და წლების მანძილზე ის ამ გუნდის ლიდერად ითვლებოდა.

ჩელსისთან სილვას ორწლიან კონტრაქტს და მის ასაკს თუ გავითვალისწინებთ, შესაძლოა ჩელსი მისთვის უკანასკნელი გუნდი აღმოჩნდეს. სილვა ამჟამად 36 წლის არის.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

სუარესი მიდის, ლაუტარო და მემფისი მოდიან

ესპანური მედიის ინფორმაციით, ბარსელონას ახალი მწვრთნელი, რონალდ კუმანი კლუბის სადავეებს ხელში იღებს – ნიდერლანდელმა სპეციალისტმა პრეზიდენტის, ჟოზეპ მარია ბართომეუსაგან სამოქმედოდ სრული თავისუფლება მიიღო.

კუმანი ერთადერთი პიროვნება იქნება, რომელიც გადაწყვეტს, ვინ გაუშვას გუნდიდან და ვინ დაიტოვოს.

პირველი, ვინც გუნდს დატოვებს, ლუის სუარესია. კუმანმა 33 წლის ფეხბურთელს პირდაპირ უთხრა, რომ ახალ პროექტში მისი ადგილი არ არის.

კლუბის წარმომადგენლები სუარესის ადვოკატს შეხვდებიან და კონტრაქტის გაწყვეტის თაობაზე გაესაუბრებიან.

სუარესის წასვლით გზა გაეხსნა გუნდში ლაუტარო მარტინესის მისვლას. ინტერი ეცდება, ტრანსფერი რაც შეიძლება მალე შედგეს, რათა არგენტინელის შემცვლელის პოვნისთვის საკმარისი დრო დარჩეს. სავარაუდოდ, მოლაპარაკებები ამ კვირაშივე შედგება.

კუმანის გეგმები

იტალიური კლუბი ბარსელონას 80 მილიონსა და კიდევ ერთ ფეხბურთელს მოსთხოვს. ეს იმას ნიშნავს, რომ კატალონიელებს დამატებით 15 მილიონის მობილიზება მოუწევთ.

იმ ფეხბურთელებად, რომლებიც სავარაუდოდ ტრანსფერში ჩაერთვებიან, ყველაზე ხშირად ნელსონ სემედუ და ჟუნიორ ფირპო სახელდებიან.

თუმცა, როგორც ჩანს, ლაუტარო ერთადერთი შემტევი არ იქნება, ვინც ბარსელონაში მივა. ადრე გავრცელებული ხმებით, კუმანს მემფის დეპაის მიყვანა სურს, რომელიც ლიონში თამაშობს. და არც ეს იქნება ერთადერთი ნიდერლანდელი შემტევი, რომელიც ბარსას რადარზეა – კუმანის კიდევ ერთი სატრანსფერო ფავორიტი ალკმაარის 21 წლის შემტევი კელვინ შტენგსია.

სპეციალისტმა ბარსას ბორდს შტენგსის შეძენა უკვე ურჩია და ახლა ყველაფერი კლუბის სპორტულ დირექტორებზეა დამოკიდებული.

შტენგსს ნიდერლანდების ნაკრებში დებიუტი გასული წლის ნოემბერში ჰქონდა და პირველსავე შეხვედრაში, ესტონეთის წინააღმდეგ, 2 საგოლე პასი მიითვალა. მას ამჟამინდელ გუნდთან ხელშეკრულება 2023 წლის ზაფხულამდე აკავშირებს. შტენგსის ფასი 18 მილიონი ევროა. ახალგაზრდა გარემარბი ალკმაარის აღზრდილია და გასულ სეზონში ნიდერლანდების ჩემპიონატში ჩატარებულ 25 მატჩში 5 გოლი და 7 საგოლე პასი ჩაიწერა აქტივში.

მბაპე არარეალური ხდება

მადრიდის რეალი მალე ახალი სეზონისთვის მზადებას დაიწყებს, მანამდე კი ზინედინ ზიდანი გუნდში წმენდას იწყებს.

ვრცელდება ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც, უკვე არსებული მოლაპარაკებები ამ კვირის ბოლომდე დასრულდება და მადრიდის რეალს 4 ფეხბურთელი გამოემშვიდობება.

სიის სათავეში მარიანო დიასია. გავრცელებული ხმებით, დიასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება სულ მალე გახდება ცნობილი და ის გუნდს გამოემშვიდობება.

ასევე წყდება ბრაჰიმ დიასის და ოსკარ როდრიგესის ბედი. არ არის გამორიცხული, ორივე მოთამაშესთან დაკავშირებით საიჯარო შეთანხმება ვიხილოთ, თუმცა პერესს ბრაჰიმის 20 მილიონად გაყიდვაც სურს.

მეოთხე ფეხბურთელი ხამეს როდრიგესია. კოლუმბიელი ფეხბურთელი რეალთან ერთად აღარ ივარჯიშებს და პრე-სეზონს ზიზუს კოლექტივი მის გარეშე დაიწყებს.

რაც შეეხება შვესბას: მადრიდელებს იმედი ჰქონდათ, რომ პსჟ ჩემპიონთა ლიგის მოგებას მოახერხებდა, მაგრამ მიუნხენის ბაიერნის ბარიერი ვერ დაძლია. შედეგად რეალის პრეზიდენტის, ფლორენტინო პერესის ამოცანა გართულდა.

საქმე ის არის, რომ ახლა კილიან მბაპეს ყიდვა კიდევ უფრო რთული გახდება, ვინაიდან პარიზულმა კლუბმა ჩემპიონთა ლიგა მაინც ვერ მოიგო და ყველაფერს გააკეთებს მომდევნო წლებში წარმატების მისაღწევად.

ალ ჰელაიფს ტრანსფერებში მილიარდზე მეტი აქვს დახარჯული, მაგრამ შედეგი არ ჩანს. არაერთი გამოცემა იუწყება, რომ პსჟ-ს მხრიდან გუნდის ლიდერებთან დაკავშირებით დათმობაზე წასვლა გამორიცხულია.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ჯოსვოხდი ა



შვეულად: 1. აუქციონ კრისტის მფლობელი; 2. აგატა კრისტის ნაწარმოებთა პერსონაჟი, დეტექტივი; 3. ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების საერთაშორისო გაერთიანება; 5. უძველესი ქართული დამწერლობა; 6. მოძღვრება რელიგიის შესახებ; 9. ლეჩხუმში გავრცელებული წითელყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 10. ამერიკული საბალეტო სკოლის ფუძემდებელი ქართველი ბალეტმეისტერი; 11. ჩინურ-იაპონური დამწერლობის გრაფიკული ნიშანი; 14. კორეული დამწერლობა; 16. მოკლემეტრაჟიანი ფილმების საერთაშორისო ფესტივალი საქართველოში; 18. ეკვადორის დედაქალაქი.

თარაზულად: 1. აშშ-ში სახელმწიფო მდივანი; 4. კუთხე საქართველოში; 7. ქართველი კარდიოლოგი ქალი, აკადემიკოსი; 8. ჩინელი ფილოსოფოსი; 12. სახელდახელოდ, ექსპრომტად თქმული ლექსი; 13. თვალის კაკლის გარეთა თეთრი გარსი; 15. ტბა ჯავახეთში; 17. საერთო საქმეში შეტანილი წილი; 19. სისხლის თეთრი ბურთულაკები; 20. კონკურსის შედეგების შემფასებელ სპეციალისტთა ჯგუფი; 21. დამატებითი ჯილდო, პრემია.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა